ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

akhalitaoba.ge




**სამი კომპანიის ხელმძღვანელი პირები პასუხისგებაში მისცეს**

**„შანაი ბრუკის მკვლელს ჯოჯოხეთურ სიკვდილს მოვუწყობ“**




ვის ემუქრება ავსტრალიელი ქალის მეგობარი

პარასკევი, 6 აგვისტო, 2021 №144 (8673) ფასი: 60 თეთრი

# „ყოველდღე 40 ადამიანი გველუპება, რა გვეკონცერტება“




ბიძინა კულუმბეგოვი: „პანდემიის მართვა პოლიტიკური პროცესის მძევალია“






## „წინასაარჩევნოდ ჯალათების წახალისება უნდა დამთავრდეს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ზრდილობიანი მკვლელის, ჩოლოიანის, ეს გათავისუფლება რეჟიმს ძვირად დაუჯდება“



## „ივანიშვილის რეჟიმი საქართველოს ყველა მიღწევას საფრთხეს უქმნის“







## კახა კალაძე: „არ მაქვს განცდა, რომ სუსი მისმენს“

## გიორგი გახარია: „ოცნება“ ქვეყანას ნაციონალებივით მართავს“






## რას სთავაზობს საქართველოს მთავრობა აფხაზებსა და ოსებს?

საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის პროექტმა სოხუმის საოკუპაციო რეჟიმი აღაშფოთა




ISSN 1987-9385

**3** პრემიერი: „ვაქცინაციის ფონზე ქვეყნის ხელახლა ჩაკეტვა გაუმართლებელია“

**4** საქართველო წითელი ზონის ქვეყნად ბრიტანეთმა გამოაცხადა

**5** ლუკა სირაძის საქმეზე მსჯავრდებული მარიანა ჩოლოიანი ციხიდან გამოუშვეს

**6** ვლადიმერ ზელენსკი: „უკრაინელებმა, რომლებიც თავს რუსებად გრძნობენ, დონბასი უნდა დატოვონ“

# „ყოველდღე 40 ადამიანი გვეღუპება, რა გვეკონცერტება“

## ბიძინა კულუმბეგოვი: „პანდემიის მართვა პოლიტიკური პროცესის მძევალია“

იაგო ნაცვლიშვილი



კორონავირუსთან დაკავშირებით ქვეყანაში უმძიმესი ვითარებაა შექმნილი. ინფიცირების ყოველდღიური მაჩვენებელი უკვე გასცდა 3.000-ს და თითქმის 4.000-მდე ადის, გარდაცვალების შემთხვევები კი ყოველდღიურად 35-40-ის ფარგლებშია. მთავარი კითხვაა, რა გველოდება, რაზეც პასუხი ჯერ არ ჩანს.

ალერგოლოგ-იმუნოლოგი ბიძინა კულუმბეგოვი კი იმ ხარვეზებზე საუბრობს, რომლებიც მის მართვასთან დაკავშირებით არსებობს და დღემდე არ არის გამოსწორებული. მისი აზრით, ურემი უკვე გადაბრუნდა, მაგრამ გზა ჯერ არ ჩანს, თუმცა ეს ხარვეზები უნდა გამოსწორდეს, რათა სხვა პიკების დროს მაინც არ აღმოვჩნდეთ ასეთ ვითარებაში. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მან „რუსთავი 2“-ის ეთერში ისაუბრა.

– ულიმიტო შესაძლებლობები ჰოსპიტალურ სექტორსა და ჯანდაცვის სისტემას არ გააჩნია. სად გადის ზღვარი, არ არის რთულად გამოსაცნობი. ახლა ქვეყანაში უპრეცედენტო შემთხვევებია – 37.000 ინფიცირებულია, აქედან 6000 – კლინიკებში. შესაძლოა, მსჯელობის საგანი იყოს, მაქსიმალურად გამკაცრდეს კრიტერიუმები. პროპორცია კლინიკაში მოხვედრის მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი გვაქვს და, არა მგონია, ჩვენთან უფრო მძიმე შემთხვევები იყოს, ვიდრე სხვა ქვეყანაში. ყველა ცდილობს, რომ თავის ახლობელი, რომელსაც რაიმე თანმხლები დაავადება აქვს, კლინიკაში მოახვედროს, მაგრამ ამისთვის არსებობს კოვიდსასტუმროები, – განაცხადა ბიძინა კულუმბეგოვმა.

მისი თქმით, ეს არ არის მარტივი, მაგრამ, ისე არ უნდა მოხდეს, რომ ვისაც სჭირდება ჰოსპიტალიზება, მისთვის აღარ დარჩეს საწოლი და, ვისთვისაც აუცილებელი არ არის, ის კლინიკაში გადიოდეს მკურნალობას.

კულუმბეგოვი აცხადებს, რომ დრო მოვიდა, ყველა კლინიკა და ექიმი საერთო გაიდლაინით მოქმედებდეს და არა – ინტერპრეტირებულად.

– მაქსიმალური ტრეინირება და ჩართულობაა საჭირო. ექიმების დონე ამ თვალსაზრისით გათანაბრებული უნდა იყოს. არ შეიძლება, მკურნალობა ერთ კლინიკაში იყოს ერთი, სადღაც პერიფერიაზე სხვა, ერთი ექიმი ერთს ფიქრობდეს, სხვაგან – სხვას....ამის დრო აღარ არის. რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები არის, როდესაც ინტერპრეტაციით უდგებიან მართვას, ჰოსპიტალში მოხვედრიდან დაწყებული, მისი გაწერით დამთავრებული, აღარაფერს ვამბობ ჰოსპიტალში დაყოვნების პერიოდს. ეს არის ლაფსუსი, რომელიც გამოსასწორებელია.

ჩვენ ერთ რამეს უნდა შევეგუოთ, ეს ტალღაც გადაივლის, მაგრამ კიდევ იქნება ტალღა, რადგან ასე სწრაფად არ წავა. ჩვენ არ გვაქვს ვაქცინაციის ის ტემპი, რომ შემოდგომას გულხელდაკრეფილი ველოდოთ. ვაქცინა თვე-ნახევრის შემდეგ იცავს ადამიანს, იმიტომ, რომ ერთი დოზა, მერე 3-4 კვირაში მეორე დოზა, მერე ორი კვირაა საჭირო იმუნიტეტის ჩამოყალიბებისთვის. თუნდაც შემოდგომაზე უნდა ველოდოთ ასეთ რაღაცას. ახლა ურემი გადაბრუნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გზა ჯერ არ ჩანს, – თქვა ბიძინა კულუმბეგოვმა.

მას პანდემიის მართვის ტიპზეც აქვს კითხვები და ამბობს, რომ არ შეიძლება, როდესაც რაღაც ეტაპზე ერთი სქემით მოქმედებ, მერე სხვა სქემაზე გადადიხარ და ეს პროცესი ხდება მუდმივად. ამბობს, რომ მისთვის მისაბაძი აზერბაიჯანის მაგალითია.

– არ ვიცი, პანდემიის რა ტიპის მართვასთან გვაქვს საქმე. კითხვის ნიშნები არსებობს და პასუხები არ გაგვაჩნია. არის სრულიად ასინქრონული, არასისტემური მართვის პრინციპი. რაღაც ეტაპზე ერთს ვიყენებდით, შემდეგ მეორეზე გადავედით, სადღაც დერეგულაცია მოხდა, ჯარიმები ყველას ჩამოვაწერეთ, თითქოს დამთავრდა პანდემია. იმას ვიმკით ახლა, რასაც ვიმსახურებთ.

მე ვემხრობი, რასაც ჩვენი სამხრეთის მეზობლები, სომხეთი და აზერბაიჯანი აკეთებენ. ჩემთვის სამაგალითოა აზერბაიჯანი, ვაქცინაციის მაქსიმალური პროცენტული მოცვა და ჯერ კიდევ ზომიერი, არადრაკონული შეზღუდვების შენარჩუნება. ამიტომ ამ ქვეყნებში 200 და სამასი შემთხვევაა დღეში, სულ რამდენიმე ადამიანის გარდაცვალება ყოველდღიურად. ჩვენ, ბუნებრივია, ვირუსს ვერ გავანულებთ, გამორიცხულია, მაგრამ გეგმაზომიერი დერეგულაცია პროპორციულად ვაქცინაციის პროცენტის გაზრდის, – აღნიშნა კულუმბეგოვმა.

ალერგოლოგ-იმუნოლოგი აუცილებელი ღონისძიებების გატარებაზეც საუბრობს და მიიჩნევს, რომ ქორწილები უნდა აიკრძალოს. ამბობს, რომ რეკომენდაციის გაცემას აზრი დაეკარგა და ეს სავალდებულო უნდა გახდეს.

– სახელმწიფო იმისთვის არსებობს, რომ უნდა დააწესოს თამაშის წესები, მაშინ ჩვენ თვითორგანიზებული ერი ვიქნებოდით, ყველა რომ პირბადეს ატარებდეს. მე ვფიქრობ, პირბადის ტარების ვალდებულება უნდა გამოცხადდეს. ეს არის აუცილებელი პირობა. თუ ჩვენი აუღებელი ციხე-სიმაგრეა ქორწილების გადახდა, მინიმუმ ათ კაცზე მეტის შეკრება კანონით დასჯადი უნდა გახდეს, თუნდაც ერთი თვის განმავლობაში, როდესაც ძალიან გვიჭირს. რეკომენდაცია, რომ არ ჩაატარო ქორწილი, არავისზე გავლენას აღარ ახდენს.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, არასაჭირო, არაესენციალური შეკრებები, კონცერტები, სადაც მასობრივად იყრიან თავს. არ აქვს მნიშვნელობა, დედაქალაქია, პერიფერიაა, საკურორტო ზონაა. ეს კატეგორიულად უნდა აიკრძალოს. ომში ვართ, ყოველდღე 40-მდე ადამიანი გვეღუპება, სიკვდილობა კიდევ გაიზრდება და ვიღაცას რომ ეკონცერტება, ჩემთვის ეს წარმოუდგენელი და დაუჯერებელია, – განაცხადა ბიძინა კულუმბეგოვმა.

არის თუ არა ვაქცინაციის დროს გართულებები?

– თუ პაციენტს ვაქცინაციიდან 3-4 კვირის განმავლობაში სჭირდება ჰოსპიტალში მოხვედრა ნებისმიერი მიზეზით, ეს აღირიცხება იმუნიზაციის შემდგომი გვერდითი მოვლენების კომიტეტზე, რომლის წევრიც გახლავართ. ჯერჯერობით გამოყენებული თითქმის ნახევარი მილიონი დოზიდან გვერდითი მოვლენების მხოლოდ 100-მდე შემთხვევაა შემოსული. არის 3-4 ანაფილაქსიური ტიპის რეაქცია. დანარჩენი რეაქციები არის მსუბუქი და მათი უდიდესი ნაწილი საერთოდ არ უკავშირდება ვაქცინაციას. რეაქციები ასოცირებულია იმუნიზაციის შიშთან, სტრესთან. მაგალითად, გულის წასვლა ნემსის შიშის გამო, ემოციური ფონი წნევის მომატების გამო და ა.შ. სერიოზული გვერდითი მოვლენა, რომელსაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან გარდაცვალება ვაქცინაციის შემდგომ, უშუალოდ ვაქცინით იყო თუ არა გამოწვეული, საქართველოში ჯერ დაფიქსირებული არ არის, – აცხადებს კულუმბეგოვი.

როგორც ცნობილია, მოიმატა იმუნიზაციის ცენტრებიდან უსაფუძვლოდ გამობრუნებული ადამიანების რაოდენობამ – გამოსავალია, წერილობით მიეცეს ექიმის განმარტება, რა მიზეზით გახდა აუცილებელი აცრის გადადება.

ვაქცინაციაზე მისული პაციენტის გამობრუნების შემთხვევაში, წერილობით მიეცეს ექიმის ახსნა-განმარტება, თუ რა მიზეზით ვერ მოხერხდა და აუცილებელი გახდა აცრის გადადება, – ამის შესახებ ალერგოლოგ-იმუნოლოგი ბიძინა კულუმბეგოვი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

– ვაქცინაციის პროცესის აქსელერაციის პარალელურად, საგრძნობლად მოიმატა იმუნიზაციის ცენტრებიდან ექიმების მიერ უსაფუძვლოდ გამობრუნებული ადამიანების რაოდენობამ.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა იმუნიზაციის პროცესში ჩართული ექიმი ტრეინირებულია, მსგავსი შემთხვევების პრევენცია უკვე შეუძლებელი გახდა. ფიქსირდება ისეთი შემთხვევებიც, როცა უკან უმიზეზოდ გამობრუნებულ, ქრონიკული დაავადებებით დახუნძლულ ადამიანებს კოვიდი ხვდებათ და იღუპებიან.

ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება იყოს: ვაქცინაციაზე მისული პაციენტის გამობრუნების შემთხვევაში წერილობით მიეცეს ექიმის ახსნა-განმარტება, თუ რა მიზეზით ვერ მოხერხდა და აუცილებელი გახდა აცრის გადადება!!!

ეს მიდგომა საშუალებას მოგვცემს, სწორად შევაფასოთ ჩვენი კოლეგების ცოდნის „ლაფსუსები“, მომავალში ხელი შევუწყოთ მათ უწყვეტ პროფესიულ განათლებას და, მეორე მხრივ, დავაჩქაროთ ვაქცინაციის პროცესი, – ნათქვამია კულუმბეგოვის განცხადებაში.

მან ქვეყანაში არსებულ ეპიდემიოლოგიურ ვითარებას სახიფათო უწოდა და განაცხადა:

– საწოლფონდის დატვირთვა ძალიან სერიოზულია. ე.წ. აქტიური შემთხვევების უპრეცედენტო რაოდენობაა. ეს არის ძალიან სერიოზული დატვირთვა. რა შესაძლებლობაა სიტუაციის მართვის? ერთ-ერთი ვარიანტია ძალიან მაღალ მსხვერპლზე წასვლა და ჯანდაცვის სისტემის ზღვარზე გავლა. ძალიან საშიშია, ჰუმანიტარული კატასტროფა არ მოხდეს, სახლში არ დაგვეღუპონ ადამიანები. მეორე ვარიანტია, როგორ მოხდება პანდემიის მართვა, მობილობის შეზღუდვა. ქვეყანას ახლა მეტი არჩევანი არ დარჩა. მოსახლეობის მესამედი ამ პერიოდამდე ვაქცინირებული რომ ყოფილიყო, ახლა ეს საკითხები ასე მწვავედ არ იდგებოდა.

მისი შეფასებით, მობილობის შემზღუდავი ღონისძიების დაწესება გარკვეული თვალსაზრისით უკვე დაგვიანებულიც არის, რადგან კორონავირუსს უკვე ათეულობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება. ბიძინა კულუმბეგოვის თქმით, თუ ქვეყანა რეგულაციებს არ გაამკაცრებს, ამით პანდემიის მართვის მხრივ „ნაბიჯებს უკან გადადგამს“.

– ეს ყველაფერი ჩვენ ტურისტულ სეზონს შევწირეთ. თუმცა მსოფლიოს ქვეყნებმა „წითელ ზონაში“ შეგვიყვანეს, ტურისტები აქ მაინც არ ჩამოდიან. სამწუხაროდ, ეს ბალანსი სახელმწიფომ თუ პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ვერ იპოვა, რაც ძალიან დასანანია. ერთი მხრივ, ადამიანები იხოცებიან და, მეორე მხრივ, ტურისტებიც არ ჩამოდიან ამ ქვეყანაში. რა მივიღეთ პანდემიის ამ მოდელისგან, სხვებმა უნდა განგვიმარტონ, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღეს და ან გადაწყვეტილების მონაწილე გახდნენ თავისივე თანხმობით.

ვემხრობი პირბადეების ტარების უნივერსალურ გამოყენებას, მხარს ვუჭერ ტესტირების გაფართოებას, ვაქცინაციის ცენტრების მოწყობას, ღამით გადაადგილების შეზღუდვაზე ფიქრის დაწყებას, სარესტორნო სივრცეები მხოლოდ გარე სივრცეში უნდა ოპერირებდნენ და შიგნით მხოლოდ ვაქცინირებული ადამიანები უნდა დაუშვან.

2020 წლის ოქტომბერში, როცა ინფიცირებულთა რაოდენობამ მოიმატა, საარჩევნო პროცესი იყო. მაშინ იმას ვამბობდით, რომ პანდემიის მართვა პოლიტიკური პროცესის მძევალი გახდა. სამწუხაროდ, ახლაც ეს ნიშნებია, რომ პოლიტიკური პროცესის მძევალია, რადგან არჩევნებია კარზე მომდგარი და შეზღუდვების შემოღება, შესაძლოა, ხალხის უკმაყოფილების მიზეზი იყოს. ეს პანდემია პოლიტიკური პროცესის მძევალი არ უნდა გახდეს. პანდემიას მართავენ ეპიდემიოლოგები და ყველამ დაავადებათა კონტროლის, ჯანდაცვის სამინისტროს უნდა მოუსმინოს, – განაცხადა კულუმბეგოვმა.

# გიორგი გახარია: „ოცნება“ ქვეყანას ნაციონალებივით მართავს“

## ოზურგეთში მერობის კანდიდატად პარტიამ გია ცეცხლაძე წარადგინა

– მე ვხვდები ბევრ ადამიანს, მათ შორის „ქართული ოცნების“ დამფუძნებლებსა და ყოფილ წევრებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ზუსტად იმავეს იმეორებს დღევანდელი პარტიული „ბოსების“ მიერ მართული ხელისუფლება, რაც ხდებოდა 2012 წლამდე.

ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ ე.წ. ფარულ მიყურადებასა და თვალთვალზე საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლები საჯარო მოხელეებს საკუთარი პოლიტიკური სიმპათიების გამოხატვის გამო სამსახურიდან გაგდებით ემუქრებიან, რაც შიშის მანიშნებელია და ღირსებასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

– ეს, უბრალოდ, შიშია. ისეთ დონემდე მიდიან, რომ რიგით საჯარო მოხელეებს, სოფლის ექიმს, მეხანძრესა და უბრალო ადამიანებს, რომლებსაც მინიმალური ხელფასი აქვთ, იმის გამო, რომ „ფეისბუქზე“ სიმპათია გამოხატეს, მიდიან და ემუქრებიან სამსახურიდან მათი ან მათი ოჯახის წევრების გაგდებით. ეს ამორალურია და არანაირი კავშირი ღირსებასთან არ აქვს.

„ოცნება“, რომელიც 2012 წელს ხელისუფლებაში მოვიდა სამართლიანობის და ღირსების აღდგენის მოდულით, დღეს იძულებულია და იმ მდგომარეობაშია, ამ პარტიული „ბოსების“ მართვის შედეგად, რომ იგივე ინსტრუმენტები და მეთოდები გამოიყენოს, რაც მანამდე იყო. ხშირ შემთხვევაში აშინებენ და სამსახურიდან აგდებენ იმავე ხალხს, ვისაც ამას უკეთებდნენ 2012 წლამდეც.



ჩვენ შევქმენით იურისტების სპეციალური ჯგუფი, რომლებიც ყველა შემთხვევას განიხილავენ და გვაქვს იმედი, რომ სასამართლო სისტემა ადეკვატურად უპასუხებს ხელისუფლების მიერ ჩადენილ უმსგავსო საქციელს და, თუ დაგვჭირდა, საერთაშორისო პარტნიორების ყურადღებასაც მივიპყრობთ. სახელმწიფო იყენებს სახელმწიფო ინსტრუმენტებს, განსაკუთრებით რეგიონში პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების დასადგენად, – აღნიშნა გიორგი გახარიამ.

5 აგვისტოს მან „საქართველოსთვის“ ახალი ოფისი ოზურგეთში გახსნა და ოზურგეთში მერობის კანდიდატი წარადგინა.

– ჩვენთვის პრიორიტეტულია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი, ყველა ქალაქი და ყველა რეგიონი. ჩვენ საერთოდ არ ვყოფთ საქართველოს რეგიონებს პრიორიტეტებად, მეტად პრიორიტეტულად და ნაკლებად პრიორიტეტულად, ჩვენ ეს არ გვახასიათებს და ჩვენთვის ერთიანი და თანმიმდევრული მიდგომაა ყველაზე მნიშვნელოვანი.

ჩვენი გამოწვევა იმაში მდგომარეობს, რომ ერთდროულად გვიწევს პარტიული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა. უკვე გამოცხადდა არჩევნების დღე, 2 ოქტომბერი და მე დარწმუნებული ვარ, რომ ოზურგეთელები 2 ოქტომბერს ღირსეულ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

გია ცეცხლაძე არის ერთ-ერთი სანიმუშო საჯარო მოხელე, არჩევნები დანიშნულია, გამოცხადებულია, რაც ნიშნავს იმას, რომ საარჩევნო კამპანია დაიწყო. გიდასტურებთ, რომ გია ცეცხლაძე იქნება პარტია „საქართველოსთვის“ მერობის კანდიდატი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, – განაცხადა გახარიამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „წინასაარჩევნოდ ჯალათების წახალისება უნდა დამთავრდეს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ზრდილობიანი მკვლელის, ჩოლოიანის, ეს გათავისუფლება რეჟიმს ძვირად დაუჯდება“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში 15 წლის ლუკა სირაძის საქმეში ბრალდებულ გამომძიებელ მარიანა ჩოლოიანის საპატიმროდან გათავისუფლებაზე საუბრობს.**

***– ლაშა, ლუკა სირაძის საქმისთვის დაკავებული გამომძიებლის, ჩოლოიანის ციხიდან გათავისუფლება რამდენად მოულოდნელი იყო? როგორც უდოს კომისიამ განმარტა, ის კარგი ქცევისთვის გათავისუფლდა.***

– ვფიქრობ, რა სიტყვა გამოვიყენო ამ სისასტიკის აღსაწერად. ქვეყანაში როგორი ცინიკური, ტრაგიკულია ვითარება, ამ ერთი ფაქტიდანაც კარგად ჩანს. ორი რეჟიმის ჯალათი ჩოლოიანი უტიფრად გამოუშვეს ციხიდან და თან გვითხრეს, კარგად იქცეოდაო. ამაზე მეტი ცინიზმი რა უნდა იყოს?! ამასთან შეგუება ნიშნავს, რომ ყველა დანაშაული, ყველა უტიფრობა წახალისებულია. ეს უკვე ღია განაცხადია, მკვლელი პოლიციელები, მკვლელი გამომძიებლები – ყველა დაუსჯელი იქნება, მეტიც, დანაშაული წახალისდება.

15 წლის ლუკა სირაძის საქმეში ჩოლოიანი არ იყო ერთადერთი ფიგურანტი, მაგრამ საზოგადოებამ იბრძოლა მის დასასჯელად და მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. თუმცა, რა ვიხილეთ ერთ წელიწადში? გაათავისუფლა ივანიშვილის რეჟიმმა. ამასთან შეგუება ნიშნავს, რომ კიდევ მეტ ადამიანს მოკლავენ და მკვლელები დაუსჯელები იქნებიან. ეს არის სახელმწიფოსთვის კატასტროფა.



რაც შეეხება ჩოლოიანს, ის გახლდათ წინა რეჟიმის პირწავარდნილი ჯალათი. მის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოსაც კი აქვს განაჩენი გამოტანილი. თუმცა ამ რეჟიმმა, რომლის მთავარი დაპირებაც სამართლიანობის აღდგენა იყო, ასეთი ფორმით აღადგინა სამართლიანობა. ყველა მკვლელი და მანიაკი, რომლებიც კი იყვნენ წინა რეჟიმის პირობებში სასამართლოში, პროკურატურაში, პოლიციაში, დააწინაურა და თავის სამსახურში ჩააყენა. ჩოლოიანიც ერთ-ერთი მათგანია. დასჯის მაგივრად ეს ადამიანი რეჟიმმა სისტემაში დატოვა. ამდენად, 15 წლის ლუკა სირაძის სიკვდილის საქმეში ორმაგად პასუხისმგებელია ივანიშვილის რეჟიმი. ივანიშვილი სწორედ ასეთი სისხლიანი ხალხის ხელით ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას.

***– „ქართულ ოცნებას“, კალაძეს, უკვე აქვს წინასაარჩევნო კამპანია დაწყებული. რატომ დასჭირდათ მათ ასეთი არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღება? ცხადია, ამ გადაწყვეტილებას დადებითი რეაქცია არ მოჰყვება.***

– ასეთი გახმაურებული საქმის მსჯავრდებული პირი ივანიშვილის ჩართულობის გარეშე, შეუძლებელია, გათავისუფლებულიყო.

***– რად ულირდა?***

– სისტემა ასეთ მკვლელებზე დგას. დიახ, სწორედ არჩევნების წინ სჭირდებათ მათ ასეთი გზავნილი, რომ ისინი მზად არიან, ნებისმიერი დანაშაული აპატიონ ყველას, თუ სისტემის მხარეს იქნებიან და ამ სისტემის შენარჩუნებისთვის იზრუნებენ. ეს გზავნილი მიიღო დღეს ყველა ჯალათმა, არა აქვს მნიშვნელობა, მოსამართლე იქნება, პროკურორი, პოლიციელი თუ ქუჩის „მაყურებელი“, „ძველი ბიჭები“, რომლებიც დაწინაურებული და წახალისებული არიან რეჟიმის მიერ.

***– სასამართლო კლანზე როდესაც არის საუბარი, შეიძლება, ვიღაცამ იფიქროს, რომ მოსამართლე სჭირდებათ, მაგრამ გამომძიებელი, თან მსჯავრდებული?***

– არ უნდა დავყოთ სეგმენტებად ივანიშვილის საცეცები. პროკურატურა, სასამართლო, პოლიცია – ეს ყველა რეჟიმის ერთი ხელია. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ამაზე სერიოზულად დაფიქრდეს ხალხი და გონივრული არჩევანი გააკეთოს. ეს ყველაფერი უკვე ძალიან ყარს და მარტივად არის გადაწყვეტილება მისაღები საარჩევნო ურნასთან.

კოვიდეპიდემიის კატასტროფული მდგომარეობა, რომელიც გვაქვს და პროგნოზი კიდევ უფრო სავალალოა, პირდაპირ რეჟიმის გადაწყვეტილების შედეგია. დიახ, შეგნებული უმოქმედობის შედეგია, რომელიც ასევე არჩევნებს უკავშირდება. ვირუსით დახოცილი ხალხი ამ რეჟიმის შეგნებული გადაწყვეტილების შედეგია. რატომ არ ხდება ვაქცინაციის პოპულარიზაცია. რატომ არ აკეთებს მთავრობა ყველაფერს ხალხის ვაქცინაციისთვის?! რატომ არ დგას ყველა ქუჩის კუთხეში ამცრელი ბრიგადები?! ან მხოლოდ ამერიკისა თუ სხვა მეგობარი ქვეყნების საჩუქრის იმედად რატომ უნდა ვიყოთ?! ქვეყნის ხელისუფლებამ რატომ ვერ შემოიტანა თავის დროზე ვაქცინა?! რა იყო ამის მიზეზი?! ამაზე ვინმე გაგვცემს პასუხს?! რასაკვირველია, არავინ, ამიტომ ამ ყველაფერს ხალხმა არჩევნებზე უნდა გასცეს პასუხი. უნდა დასრულდეს წინასაარჩევნოდ ჯალათების წახალისება. მე, პირადად, ეჭვი არ მეპარება, რომ ჩოლოიანის გათავისუფლება შეგნებულად მიღებული გადაწყვეტილებაა მოძალადე ჩინოვნიკებისა და პოლიციელების გასამხნევებლად. მაგრამ ზრდილობიანი მკვლელი ჩოლოიანის ეს გათავისუფლება რეჟიმს ძვირად დაუჯდება.



## პრემიერი: „ვაქცინაციის ფონზე ქვეყნის ხელახლა ჩაკეტვა გაუმართლებელია“

– ვაქცინაციის ფონზე აბსოლუტურად გაუმართლებელია ქვეყნის ხელახლა ჩაკეტვა.



ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ფინანსთა სამინისტროს 10-წლიანი სამოქმედო გეგმის პრეზენტაციაზე განაცხადა.

ღარიბაშვილის აზრით, მკაცრი შეზღუდვების დაწესება ეკონომიკას დააზარალებს.

– ჩვენ გადავწყვიტეთ მყარად და ვთქვით, რომ ამ ვითარებაში, როდესაც ქვეყანამ შემოიტანა 2 მილიონ დოზაზე მეტი ვაქცინა, ჯამში, ერთ თვეში ჩვენ გვექნება მთლიანობაში 3 მილიონზე მეტი ვაქცინა, აბსოლუტურად გაუმართლებელია ქვეყნის ხელახლა ჩაკეტვა.

ჩვენ ეკონომიკას არ შევაჩერებთ, ეს არის მცდარი გზა. ვაქცინაცია პირდაპირ უკავშირდება ჩვენი ქვეყნის მაღალ ეკონომიკურ ზრდას. ბოლო დღეების განმავლობაში გვაქვს ტემპის მატება ვაქცინაციის მიმართულებით. გუშინ გვქონდა 20.000 აცრა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, უნდა გავაკეთოთ კიდევ უფრო მეტი აცრა ყოველდღიურად იმისთვის, რომ მიზნობრივ მაჩვენებელს მივაღწიოთ.

ჩვენი ამოცანა მომდევნო 2-3 თვის განმავლობაში სამი მილიონი აცრის ჩატარებაა, რაც მოგვცემს საშუალებას, მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი შევინარჩუნოთ ქვეყანაში, არ გავაჩეროთ, არ დავკეტოთ ქვეყანა ხელმეორედ და ის მძიმე შედეგები არ გამოვიწვიოთ ხელმეორედ, რაც იყო გასულ წელს

ჩაკეტვით ვირუსს ვერ დავამარცხებთ, შეიძლება დროებით მოხდეს შეყოვნება, მაგრამ საბოლოო ჯამში, ვირუსს ამარცხებს ვაქცინაცია. კიდევ ერთხელ მინდა, ჩვენს მოსახლეობას მივმართო თხოვნით, რომ ყველა აქტიურად ჩავერთოთ ვაქცინაციის პროცესში, – თქვა პრემიერ-მინისტრმა.

## საქართველოში ვაქცინირებულთა რაოდენობამ ნახევარ მილიონს გადააჭარბა

5 აგვისტოს საქართველოში კორონავირუსის საწინააღმდეგო აცრა 20.845-მა ადამიანმა გაიკეთა. სულ ქვეყანაში 564.691 აცრა გაკეთდა.

სამედიცინო სფეროს და მთავრობის წარმომადგენლები ყოველდღიურ რეჟიმში მოუწოდებენ მოქალაქეებს, პანდემიის დასამარცხებლად დაიცვან რეკომენდაციები, რომლებსაც მათ სპეციალისტები აძლევენ.

კერძოდ, მსოფლიოს მასშტაბით, ყველა სამედიცინო მუშაკი თანხმდება, რომ ვაქცინაცია აუცილებელია. გარდა ამისა, მოქალაქეებს მოუწოდებენ, ატარონ პირბადე.

## კახა კალაძე: „არ მაქვს განცდა, რომ სუსი მისმენს“



– სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უნდა უსმენდეს იმას, ვისი საჭიროებაც არის, კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში. მე არ მაქვს ამის განცდა, რომ მისმენენ.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, შესაძლოა, ვიღაცას ჰქონდეს იმის განცდა, რომ სუსი უსმენს.

– რამდენიმე დღის წინ ამასთან დაკავშირებით გავაკეთე განცხადება. ასე რომ, დამატებით რაიმე სიახლეს ვერ ვიტყვი. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უნდა უსმენდეს იმას, ვისი საჭიროებაც არის, კანონის და კონსტიტუციის ფარგლებში. მე არ მაქვს ამის განცდა, რომ მისმენენ. შეიძლება ვიღაცას ჰქონდეს, მე არ მაქვს, – განაცხადა კახა კალაძემ.

## თამარ გაბუნია: „10 აგვისტოდან ინფიცირების რაოდენობა დაიკლებს“

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ ქვეყანა ახლა პიკის ფაზაში იმყოფება და 10 აგვისტოდან შემთხვევების კლებას ელოდებიან. ამასთან, როგორც თამარ გაბუნიამ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში 1.3-1.4%-ის ფარგლებშია.

– პროგნოზი სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუციის მიერ ჩატარებულ შეფასებებს ემყარება. ახლა ვიმყოფებით პიკის ფაზაში, პროგნოზულად, დაახლოებით, 10 აგვისტოდან არის მოსალოდნელი, რომ შემთხვევების რაოდენობამ იკლოს. სიკვდილის მაჩვენებელს ვინარჩუნებთ 1.3-1.4%-ის ფარგლებში, – განაცხადა თამარ გაბუნიამ.

## „ივანიშვილის რეჟიმი საქართველოს ყველა მიღწევას საფრთხეს უქმნის“

– ივანიშვილის რეჟიმი თავისი მოქმედებებით საფრთხეს უქმნის საქართველოს ყველა მიღწევას.




ასე ეხმაურება „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე გიგა ბოკერია ევროკომისიის უვიზო რეჟიმის მონიტორინგის შესახებ ანგარიშს.

როგორც ბოკერია აღნიშნავს, „ჩვენი მოქალაქეები, საზოგადოება, ქვეყანა და არა მთავრობა იმსახურებს ამ ფუნდამენტურ უფლებას, ამიტომ ჩვენ ამ მიღწევას შევინარჩუნებთ“.

– ივანიშვილის რეჟიმი თავისი მოქმედებებით საფრთხეს უქმნის საქართველოს ყველა მიღწევას, მაგრამ ამის მიუხედავად მე იმედი მაქვს, რომ სწორედ იმის გამო, რომ ჩვენი მოქალაქეები, საზოგადოება და ქვეყანა, არა მთავრობა იმსახურებს ამ ფუნდამენტურ უფლებას, ჩვენ ამას შევინარჩუნებთ, ოღონდ იმისთვის, რომ საფრთხე არ დამძიმდეს, აუცილებელია ამ ხელისუფლების შეცვლა და არ არის გაუგებარი, რატომ ამახვილებენ ჩვენი პარტნიორები ყურადღებას მაღალი დონის კორუფციაზე, სასამართლოზე იმაზე, რომ ჩიხში შეიყვანა ქვეყანა, – განაცხადა ბოკერიამ.

ევროკომისიამ გამოაქვეყნა უვიზო რეჟიმის მონიტორინგის შესახებ ანგარიში, რომელშიც საქართველოზეცაა საუბარი და რომელიც ევროპარლამენტსა და ევროპულ საბჭოს წარედგინება.

# რა გზავნილია მაღალი ინფლაცია ინვესტორებისთვის

„კრიტიკა ნებისმიერ შემთხვევაში იქნება“, – ასე უპასუხა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ bm.ge-ს კითხვას იმის შესახებ, პანდემიურ პერიოდში არჩევანი ინფლაციურ სტაბილურობაზე უნდა გაკეთდეს თუ ეკონომიკური ზრდა უნდა იყოს პრიორიტეტი.

– მე თავად მითქვამს, რომ ბალანსის დაჭერა არის საჭირო, რადგან, თუ მოხდა მონეტარული პოლიტიკის ძალიან გამკაცრება, ეს გავლენას მოახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, ხოლო თუ არ მოხდა საჭირო ზომების მიღება, ამ შემთხვევაში უკვე ინფლაცია იქნება მაღალი, რაც არ არის სასურველი გრძელვადიანი და მდგრადი ეკონომიკური ზრდისათვის.

მართალია, მონეტარული პოლიტიკა მოკლევადიან პერიოდში აქტივობას დროებით ანელებს, თუმცა ეს ნაბიჯი აუცილებელია ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ეროვნული ბანკი ორივე მხარემ შეიძლება გააკრიტიკოს. იმ შემთხვევაში თუ ინფლაცია უფრო მაღალი იქნა, რატომ არ მოხდა გამკაცრება და იმის გამო, თუ გამკაცრება მოხდა და ამის გამო ზრდა შედარებით შენელდა, რატომ გაზარდა საპროცენტო განაკვეთი ეროვნულმა ბანკმა, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.




მისივე თქმით, კრიტიკა იქნება ნებისმიერ შემთხვევაში, ამის არიდება შეუძლებელია, თუმცა ეროვნულმა ბანკმა უნდა მიიღოს დაბალანსებული გადაწყვეტილება და უნდა მისცეს სიგნალი საზოგადოებას, ისევე როგორც ადგილობრივ და საერთაშორისო ინვესტორებს, რომ ინფლაცია საშუალოვადიან პერიოდში აუცილებლად შემცირდება.

რაც შეეხება კითხვას, თუ რა გზავნილია მაღალი ინფლაცია ინვესტორებისთვის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პასუხობს:

– ვფიქრობთ, რომ გზავნილი ინვესტორებისთვის არის ის ნაბიჯი, რომელსაც ეროვნული ბანკი ამ შემთხვევაში იღებს, თუ რამდენად ადეკვატურია, და თუ ინვესტორები ფიქრობენ, რომ ეს ზომები ადეკვატურია, ამას რისკად არ განიხილავენ. ეს იქნება დროებითი ფენომენი, რომელიც გაივლის. მოგეხსენებათ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო მისიის დასკვნაში ნათქვამია, რომ ეროვნული ბანკის ქმედებები ინფლაციასთან დაკავშირებით ყოველთვის დროული და ადეკვატური იყო.

იმედი მაქვს, რომ ასეთივე შეფასებები იქნება სარეიტინგო კომპანიებიდან და ზუსტად საშუალოვადიან პერიოდზე გათვლილი პოლიტიკის შედეგად, ინფლაცია კვლავ დაუბრუნდება მიზნობრივ მაჩვენებელს. არ დაგვავიწყდეს, რომ არაორდინარული პანდემიის გავლენის ქვეშ იმყოფება როგორც საქართველოს, ასევე გლობალური ეკონომიკა და გაურკვევლობის ფაქტორები არის ძალიან დიდი. ისევე როგორც ფისკალური დეფიციტი დაუბრუნდება თავის სიდიდეებს, საგარეო ვალი დაუბრუნდება სიდიდეებს, სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში, ასევე გადავლილი იქნება ეს გავლენები, – თქვა კობა გვენეტაძემ.

# რას სთავაზობს საქართველოს მთავრობა აფხაზებსა და ოსებს?

## საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის პროექტმა სოხუმის საოკუპაციო რეჟიმი აღაშფოთა

მარიამ მჭედლიშვილი






ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ოკუპირებული რეგიონები აქტუალური იყო როგორც საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა შტოსთვის, ისე ზოგიერთი ოპოზიციური პარტიისათვის. ამან თავისი გამოხმაურება ჰპოვა სოხუმში.

„ახალი თაობა" წერდა, რომ შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც საზოგადოებასთან ერთად მუშაობს დეოკუპაციისა და კონფლიქტების მშვიდობიანად მოწესრიგების კონცეფციაზე.

თავისი გეგმები და ხედვები წარმოადგინა სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში თეა ახვლედიანმა. წარდგენას ესწრებოდა პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც წინა ხელისუფლებების შეცდომებზე გაამახვილა ყურადღება:

– ჩვენი არასწორი პოლიტიკის შედეგია ის, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში გვქონდა სამოქალაქო დაპირისპირება, დროებით დავკარგეთ ტერიტორიები, შემდეგ შეცდომები გავიმეორეთ 2008 წელს.

მისივე თქმით, „ჩვენ მივყვებით ჩვენს თანმიმდევრულ, პრაგმატულ და მშვიდობიან პოლიტიკას".

სახელმწიფო მინისტრი აფხაზებთან და ოსებთან თანამშრომლობას შეეხო. მაგალითად, ვაჭრობისა და ეკონომიკური კავშირების განვითარების მიზნით ამოქმედებულია მშვიდობის ფონდი. ფინანსდება ერთობლივი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ბიზნესპროექტები. ამჟამად ასეთი 11 პროექტი ხორციელდება. გასამმაგებულია ოკუპირებული რეგიონებიდან ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა. პანდემიის დროსაც კი არ შეწყვეტილა უფასო სამედიცინო მომსახურება.

მინისტრი ამბობს, რომ თბილისს აფხაზ და ოს საზოგადოებასთან დიალოგი არასდროს შეუწყვეტია. აფხაზეთის საზოგადოებასთან მიმდინარე არაფორმალური კომუნიკაციის შედეგად დაგროვდა წარმატებული თანამშრომლობის მაგალითები. არაფორმალური თანამშრომლობა და დიალოგის გააქტიურება რჩება ერთ-ერთ მთავარ ამოცანად. მისი თქმით, ეს ხდება იმ პირობებში, როცა რუსეთი განაგრძობს ოკუპირებული რეგიონების იზოლაციისა და ანექსიისკენ მიმართულ მოქმედებებს.

იმავდროულად, პარლამენტის კომიტეტმა იმსჯელა რეზოლუციის პროექტზე „საქართველო-რუსეთის კონფლიქტების დეოკუპაციისა და მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ".

სოხუმის სამიზნე სწორედ ეს რეზოლუცია აღმოჩნდა. ამაზე განცხადება გააკეთა აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელიც ყოველთვის გამოირჩევა ანტიქართული რიტორიკით. დე ფაქტო მინისტრი დაურ კოვე კი უცვლელია.

აფხაზური ფაქტობრივი უწყება არ ეთანხმება ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა „ოკუპაცია" და „ქართულ-რუსული კონფლიქტი".

კოვეს სამსახური მოუწოდებს ჟენევის დისკუსიების მონაწილეებს, აღიარონ საქართველოს დანაშაული 1992-93 წლებსა და 2008 წელს და აიძულონ თბილისი, ხელი მოაწეროს ძალის გამოუყენებლობის შეთანხმებას.

განცხადებაში ნათქვამია, რომ რეზოლუციის პროექტი მოწყვეტილია რეალობას:

– საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას, წარმოაჩინოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტი რუსულ-ქართულად, არანაირი გამართლება არა აქვს. ეს არის პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის მცდელობა. 1992 და 2008 წლებში ომის გაღვივება საქართველოს კისერზეა.

აფხაზური უწყება იმასაც მოითხოვს, რომ ყველამ უნდა გაითვალისწინოს აფხაზეთის „აღიარება" და მას, როგორც თანასწორს, ისე ესაუბროს.

ამ მოვლენებს დაემთხვა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" გახმაურებული მიმართვა პუტინისადმი.

ეს პარტია ისევ აყენებს დღის წესრიგში დიალოგს მოსკოვთან, სოხუმთან და ცხინვალთან.

დიდი ალბათობით, რუსეთს აწყობს ამ თემების აქტუალიზაცია, კონფლიქტების „ქართულ-აფხაზურად", „ქართულ-ოსურად" გასაღება, ასევე, „რუსული ძალით" ხალხის დაშინება.

იქიდან გამომდინარე, რომ აშშ კავკასიის რუსეთისთვის დათმობას არ აპირებს, პროცესებში ისიც მონაწილეობს.

საქართველოს მთავრობის პოლიტიკა, წარმოდგენილი ინფორმაცია და ხედვები მშვიდობიან მოგვარებაზე დამაიმედებელია და, წესით, სოხუმსა და ცხინვალს უნდა იზიდავდეთ და არ აწყობდეს რუსეთს. საოკუპაციო რეჟიმები ხშირად მოსკოვის ნებას აჟღერებენ, რაც გამოჩნდა კიდეც.

# ევროკომისიის ანგარიშის თანახმად, საქართველო უვიზო რეჟიმის მოთხოვნებს კვლავ აკმაყოფილებს



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველო უვიზო რეჟიმის მოთხოვნებს კვლავ აკმაყოფილებს და ევროკომისიის წინა წლის რეკომენდაციების შესრულების კუთხითაც პროგრესს განიცდის.

საქმე ის არის, რომ 2021 წლის 4 აგვისტოს ევროკომისიამ უვიზო რეჟიმის შეჩერების მე-4 ანგარიში გამოაქვეყნა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ანგარიშში ხაზგასმულია, რომ უვიზო რეჟიმს დადებითი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სარგებელი მოაქვს, როგორც პარტნიორი, ისე ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის.

„ანგარიში დადებითად აფასებს საქართველოს მიერ საზღვრის მართვის კუთხით მიღწეულ პროგრესს, მათ შორის ევროკავშირის დახმარების პროგრამის SAFE-ისა და წევრი ქვეყნების, განსაკუთრებით ლატვიის ხელშეწყობით. ანგარიში მიესალმება, რომ 2021 წლის 11 თებერვალს საქართველომ განაახლა სამუშაო შეთანხმება ევროკავშირის საზღვრის მართვის სააგენტოსთან (Frontex).

ანგარიში ასევე მიესალმება საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ კანონში ცვლილებებს, რომელიც გაუმჯობესებული კონტროლის გზით, საქართველოს მხრიდან უვიზო რეჟიმის დარღვევების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად.

ანგარიში ასევე მიესალმება ქვეყნის შიგნით მიგრაციის მართვის კუთხით მიღწეულ პროგრესს, მათ შორის 2021-2030 წწ. მიგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღებას, რისკების ანალიზის ერთიანი სისტემისთვის მეთოდოლოგიის დამტკიცებას და სხვა. ასევე, მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს, რომ საქართველოს 2021 წლის მარტიდან ევროპის მიგრაციის ქსელში (EMN) დამკვირვებლის სტატუსი აქვს.

ანგარიში დადებითად აფასებს საქართველოს თანამშრომლობას წევრ ქვეყნებთან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში უკანონოდ მყოფი საქართველოს მოქალაქეების რეადმისიისა და დაბრუნების კუთხით, რაც უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შესანარჩუნებლად.

საერთო ჯამში, ანგარიში დადებითად აფასებს საქართველოს მიერ ევროკომისიის წინა ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესრულებას, მათ შორის საქართველოს მხარის ძალისხმევას საქართველოს მოქალაქეების მიერ თავშესაფრის უსაფუძვლო განაცხადების შემცირების მიზნით – საკანონმდებლო ცვლილებების, FRONTEX-თან და წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და პოლიციის ატაშეების ქსელის მეშვეობით.

2020 წელს საქართველო ერთ-ერთი ქვეყანა იყო, საიდანაც განსაკუთრებით შემცირდა თავშესაფრის განაცხადების რაოდენობა. კერძოდ, 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს თავშესაფრის განაცხადები 60%-ით შემცირდა, ხოლო დადებითი გადაწყვეტილებების წილი 4,1%-დან 4,6%-მდე გაიზარდა. 2020 წელს საქართველოდან საზღვრის უკანონო კვეთის მხოლოდ 30 შემთხვევა დაფიქსირდა (2019 წელთან შედარებით 10-ჯერ ნაკლები). ასევე, შემცირდა (13%-ით) ევროკავშირში უკანონოდ მყოფი პირების რიცხვი.

ანგარიში ზოგადად, დადებითად აფასებს უსაფრთხოების სფეროში საქართველოს თანამშრომლობას წევრ ქვეყნებთან და ევროკავშირის სააგენტოებთან (Europol, Eurojust). ასევე, დადებითად არის შეფასებული საქართველოს მხრიდან ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. წლის განმავლობაში, ქვეყნის მიერ ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოტიკების, ადამიანებით უკანონო ვაჭრობისა და კიბერდანაშაულთან ბრძოლის კუთხით განხორციელებული საკანონმდებლო და ოპერატიული საქმიანობა თანხვედრაში იყო ევროკავშირის რეკომენდაციებთან. საქართველო ასევე დადებით შეფასებას იმსახურებს კორუფციასთან ბრძოლის კუთხით – ევროსაბჭოს კორუფციის წინაღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) ყველა რეკომენდაცია ნაწილობრივ ან სრულად შესრულებულია.

ევროკომისია ძალზე დადებითად აფასებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ქვეყნის მიერ განხორციელებულ როგორც საკანონმდებლო საქმიანობას, ისე საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობას. ანგარიში მოკლედ მიმოიხილავს სასამართლო რეფორმის მე-4 ტალღას. დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ საქართველო განაგრძობს უვიზო რეჟიმის წინაპირობებისა და ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებას.

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმით სარგებლობენ (ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, სერბეთი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა) და 2020 წლის განმავლობაში ამ ქვეყნების მიერ ევროკომისიის წინა ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესრულებას აფასებს. საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინისთვის, რომლებიც ევროკავშირთან უვიზო რეჟიმით 7 წელიწადზე ნაკლები ხნის განმავლობაში სარგებლობენ, ანგარიში ასევე მიმოიხილავს, თუ როგორ განაგრძობენ მოცემული ქვეყნები უვიზო რეჟიმისთვის განსაზღვრული წინაპირობების შესრულებას", – ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაში.

# საბანკო აქტივების 73%-ზე მეტი თიბისისა და საქართველოს ბანკზე ნაწილდება



კომერციული ბანკების აქტივების მოცულობამ, 30 ივნისის მდგომარეობით, 56 მლრდ ლარს მიაღწია, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 6.7 მლრდ-ით აღემატება. აქტივების 73%-ზე მეტი თიბისისა და საქართველოს ბანკზე ნაწილდება.

ნაღდი ფულის მასამ ყველა ბანკში, 30 ივნისის მდგომარეობით, 2.1 მლრდ ლარი შეადგინა. განთავსებულმა ფულადმა სახსრებმა 7.8 მლრდ. გაცემულმა სესხებმა კი, რაც ბანკისთვის ყველაზე დიდ აქტივად ითვლება – 37.1 მლრდ ლარი, რაზედაც ბანკები დარიცხული პროცენტის სახით დამატებით 650 მლნ-ს ელოდნენ.

ვალდებულებების ნაწილში ყველაზე დიდი წილი დეპოზიტებს უკავიათ. მეანაბრეების მიმართ ვალდებულების მოცულობამ 35 მლრდ ლარი შეადგინა. სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან ნასესხებმა თანხებმა 10 მლრდ-ს გადააჭარბა, სააქციო კაპიტალმა – 6.8 მლრდ-ს.

საერთო ზრდის ტენდენციის მიუხედავად, ბოლო 2 თვეში ბანკების აქტივები 2.6 მლრდ ლარით შემცირდა, რაც ძირითადად ლარის გამყარებამ გამოიწვია.

მიკროსაფინანსოების მეორე კვარტალის აქტივები ჯერ არ გასაჯაროებულა. პირველი კვარტალი კი მათ 1.5 მლრდ-ით დახურეს, რაც იმავე პერიოდის ბანკების აქტივების მოცულობაზე 39-ჯერ ნაკლებია.

ისევე, როგორც გაცემულ სესხებში და მიღებულ დეპოზიტებში დომინანტ პოზიციებს თიბისი და საქართველოს ბანკი იკავებენ. 56-დან 41 მლრდ – 73%-ზე მეტი, სწორედ ამ ორ ბანკზე მოდის, ამასთან, თიბისი საქართველოს ბანკს 1.2 მლრდ-ით უსწრებს და პირველ ადგილს იკავებს.

# საქართველო წითელი ზონის ქვეყნად ბრიტანეთმაც გამოაცხადა




დიდი ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებიც წითელი ზონის სიაში შეჰყავს. მათ შორის მოხვდა საქართველოც.

განახლებული ინფორმაციის თანახმად, საქართველო წითელი ზონის ქვეყნების სიაში 8 აგვისტოს, დილის 4 საათიდან შევა. საქართველოს გარდა, ამ სიას მექსიკა, საფრანგეთის ზღვისიქითა დეპარტამენტი მაიოტა და კუნძული რეიუნიონი შეემატება.

დიდი ბრიტანეთის განცხადებაში წერია, რომ ეს ქვეყნები (საქართველო, მაიოტა, მექსიკა და რეიუნიონი) წარმოადგენენ გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის მაღალ რისკს. წითელი ზონის ქვეყნებიდან ბრიტანეთში მიმავალმა ვიზიტორმა უნდა გაიკეთოს კოვიდ-ტესტი, დაჯავშნოს კოვიდ-სასტუმრო ბრიტანეთში კარანტინის გასავლელად, რომელშიც ასევე შევა ორი კოვიდ-ტესტიც და შეავსოს სპეციალური ფორმა. ამ პროცედურების გავლა დასჭირდებათ მათაც, რომლებიც იქნებიან სრულად აცრილები.

8 აგვისტოდან ბრიტანეთს ცალკეული ქვეყნები მწვანე სიაშიც გადაჰყავს. ესენია: ავსტრია, გერმანია, ლატვია, ნორვეგია, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. ბრიტანეთის მთავრობას მიაჩნია, რომ ისინი ქვეყნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენენ.

გარდა ამისა, საფრანგეთიდან ბრიტანეთში ჩასულებს კარანტინი აღარ დასჭირდებათ, თუ ისინი სრულად აცრილები იქნებიან.

ბაჰრეინი, ინდოეთი, კატარი და არაბეთის გაერთიანებული საამიროები ასევე გადადიან იმ ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც ეპიდვითარება გაუმჯობესდა.

ყველა ცვლილება 2021 წლის 8 აგვისტოს, კვირას, დილის 4 საათზე ამოქმედდება.

# ლუკა სირაძის საქმეზე მსჯავრდებული მარიანა ჩოლოიანი ციხიდან გამოუშვეს

ლუკა სირაძის საქმეზე მსჯავრდებული მარიანა ჩოლოიანი თავისუფალია. გამომძიებელი ციხიდან 5 აგვისტოს გამოუშვეს.

ბრალდებული, რომელიც სასჯელს 15 წლის მოზარდის მიმართ იძულების ფაქტზე იხდიდა, ვადაზე ადრე კომისიამ გაათავისუფლა.

– მარიანა ჩოლოიანი გათავისუფლდა საბჭოს გადაწყვეტილებით. მას კანონმდებლობით ეხებოდა პირობით ადრე გათავისუფლება, საბჭომ უარი განუცხადა მარიანა ჩოლოიანს, რის შემდეგაც დაცვის მხარემ გაასაჩივრა გადაწყვეტილება. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბათილად ეცნო საბჭოს გადაწყვეტილება. კრიტერიუმებს ნამდვილად აკმაყოფილებდა ჩოლოიანი.

კანონით გათვალისწინებულია ეს კრიტერიუმები, მაგალითად, სასჯელაღსრულებაში ქცევა, შენიშვნა და საყვედური არ უნდა ჰქონდეს, არ უნდა არღვევდეს შინაგანაწესს. კანონი არ ითვალისწინებს, რომ მოხდეს რაიმე პოზიციის შეჯერება დაზარალებულ მხარესთან, – განაცხადა ჩოლოიანის ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა.

ჩოლოიანის გათავისუფლება მოულოდნელი აღმოჩნდა გარდაცვლილი ლუკა სირაძის ოჯახისთვის. სირაძის ძმის თქმით, ჩოლოიანმა გათავისუფლება სისტემაში მომუშავე მეგობრების საშუალებით შეძლო.

– მარიანა ჩოლოიანის ადვოკატის განცხადება მოვისმინე, სადაც ის ამბობს, რომ ჩოლოიანი კარგი ყოფაქცევის გამო გაათავისუფლეს. გავარკვევთ, რა სამართლებრივი პროცესები შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ. ამ ეტაპზე ზუსტი ინფორმაცია არც მე მაქვს და არც ადვოკატს.

უდოს კომისია როდესაც იღებს გადაწყვეტილებას, როგორც ჩანს, არ აქვთ ვალდებულება, საქმის კურსში ჩაგვაყენოს დაზარალებული მხარე. ეს გადაწყვეტილება ალბათ მიიღეს მარიანა ჩოლოიანის ძველი მეგობრებისა და მისი მფარველების მეშვეობით. რა თქმა უნდა, კონკრეტული სახელებისა და გვარების დასახელება არ შემიძლია.






ის გამოცდილი კადრია, დიდი ხანია, პოლიციაში მუშაობს და არ არის გამორიცხული, თუნდაც პენიტენციარულ დაწესებულებაში ჰყავდეს ახლობლები, თუნდაც უდოს კომისიაში, რომლებიც ერთ-ორ სიტყვას შეაშველებდნენ. ისე არ მოხდებოდა მისი გათავისუფლება, კარგი ყოფაქცევის საფუძველზე, როდესაც ასეთი დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს, საქმე ეხება 15 წლის ბავშვს, რომელიც გარდაიცვალა. თუ ჩარევა არ მოხდა ვინმესი, ასე მარტივად მას ვერავინ გაათავისუფლებდა.

შეიძლება, ვიღაცამ ჩათვალოს, რომ მას გათავისუფლება კანონით ეკუთვნოდა, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს უსამართლობაა. სხვა ბევრი ადამიანი შეიძლება იქცეოდეს ციხეში კარგად, მაგრამ მათ გარეთ არ უშვებენ. ჩოლოიანმა ციხეში მხოლოდ წელიწადი და რამდენიმე თვე გაატარა, – განაცხადა ბექა სირაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

მომხდარზე კომენტარი გააკეთა საიამ.

– სასამართლო არის პირდაპირ ლოიალური ხელისუფლებასთან, ერთ ადამიანზე გადატეხეს ჯოხი, რომ საჩვენებლად ჩაესვათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ძალიან მალევე გათავისუფლებულიყო.

ასე აფასებს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ნიკა სიმონიშვილი მარიანა ჩოლოიანის საპატიმროდან გათავისუფლებას.

მისი განცხადებით, ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისია არ დაინტერესებულა ლუკა სირაძის ოჯახის პოზიციით და ყველა სამართალდამცველის მხრიდან ჩადენილი სავარაუდო დანაშაული სრულყოფილად არ იყო გამოძიებული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ქვეყანაში არ გვაქვს სამართლიანი გამოძიება და სასამართლო.

– ჩვენ ძალიან აღშფოთებულები და გაბრაზებულები ვართ იმ გადაწყვეტილებით, რომელიც ლუკა სირაძის საქმეზე მოხდა. ეს არის პირდაპირი წაქეზება ნებისმიერი დანაშაულისა, რომელიც შეიძლება სამართალდამცავებმა ჩვენ მიმართ ჩაიდინონ და დაუსჯელები დარჩნენ.

ამ საქმეში ბევრი უსამართლობა ვნახეთ, რომელიც შეეხო ლუკა სირაძეს, სახელმწიფომ ერთადერთ ადამიანზე გადატეხა ჯოხი და დააკავეს მხოლოდ მარიანა ჩოლოიანი, სხვა ნაწილთან მიმართებით გამოძიება უბრალოდ არაეფექტური იყო. ერთადერთი ადამიანიც, რომელიც იყო დაკავებული პირველივე შესაძლებლობისთანავე გაათავისუფლეს. მას მიუსაჯეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაზეც ვფიქრობდით, რომ არ იყო სამართლიანი და სათანადო სასჯელი. აღნიშნული განაჩენი იყო გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოში, თუმცა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ვადამდე გათავისუფლებულიყო ეს ადამიანი.

კომისია არ დაინტერესებულა ლუკა სირაძის ოჯახის პოზიციით, რაც ერთადერთ რაღაცაზე მიგვანიშნებს, რომ არ იყო სრულყოფილად გამოძიებული ყველა სამართალდამცველის მხრიდან ჩადენილი სავარაუდო დანაშაული.

ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ქვეყანაში არ გვაქვს სამართლიანი გამოძიება და სასამართლო. სასამართლო არის პირდაპირ ლოიალური ხელისუფლებასთან, უბრალოდ ერთ ადამიანზე გადატეხეს ჯოხი იმისათვის, რომ საჩვენებლად ჩაესვათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ძალიან მალევე გათავისუფლებულიყო.



ეს არის ძალიან უსამართლო გადაწყვეტილება და ქმედება ხელისუფლების მხრიდან ლუკა სირაძისა და მისი ოჯახის მიმართ, – აღნიშნა ნიკა სიმონიშვილმა.

მარიანა ჩოლოიანს თბილისის საქალაქო სასამართლომ 15 წლის მოზარდის, ლუკა სირაძის მიმართ ჩვენების იძულების ფაქტზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 2019 წლის 19 დეკემბერს შეუფარდა.

2019 წლის 11 დეკემბერს მეათე კლასის მოსწავლე ლუკა სირაძემ თვითმკვლელობა მას შემდეგ ცადა, რაც ის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პირველ განყოფილებაში „მწვანე სკოლის“ კედლებზე გაკეთებული წარწერების გამო გამოკითხეს.

გამოკითხვაზე მოზარდი ორჯერ, 10 და 11 დეკემბერს იმყოფებოდა და ის ორივეჯერ მარიანა ჩოლოიანმა დაკითხა.

ლუკა სირაძე მიღებული დაზიანებების შედეგად 2019 წლის 17 დეკემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

დაკავებული მარიანა ჩოლოიანის გარდა, ლუკა სირაძის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილება შეუწყდა ორ პოლიციელს.

## სამი კომპანიის ხელმძღვანელი პირები პასუხისგებაში მისცეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდების ფაქტზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისცეს სამი კომპანიის ხელმძღვანელი პირები.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში მოქმედ კომპანიებს, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით, სისტემატურად ახდენდნენ შემოსავლების არასწორ დეკლარირებას, რითაც თავს არიდებდნენ დიდი ოდენობით გადასახადის გადახდას.

საგადასახადო შემოწმებების შედეგად სამივე კომპანიას ჯამში ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 621.099 ლარი. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

## ოთხ პირს, რომლებმაც მცხეთაში ქალი მოიტაცეს, პროკურატურამ ბრალი წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, მცხეთაში მომხდარი თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე თ.ნ.-ს, ზ.ს.-ს, შ.შ.-ს და გ.თ.-ს ბრალდება წარუდგინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 2 აგვისტოს, მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში, თ.ნ.-მ ცოლად შერთვის მიზნით, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ზ.ს.-სთან, შ.შ.-სთან და გ.თ.-სთან ერთად ა.რ.კ.-ს აღუკვეთა თავისუფლება. ბრალდებულებმა ა.რ.კ. მისი ნების საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებით ჩასვეს ავტომობილში და ქალაქ კასპში, ზ.ს.-ს სახლში წაიყვანეს, სადაც დაზარალებული მისი ნების საწინააღმდეგოდ დაახლოებით 7 საათის განმავლობაში, პოლიციის თანამშრომლების მისვლამდე იმყოფებოდა“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## „შანაი ბრუკის მკვლელს ჯოჯოხეთურ სიკვდილს მოვუწყობ“

### ვის ემუქრება ავსტრალიელი ქალის მეგობარი

საქართველოში მოკლული ავსტრალიელი ქალის, შანაი ბრუკის მეგობარი შურისძიებას აანონსებს. ცნობილი ლიბანელი დიჯეი ელ საიდი მიმართვას სოციალურ ქსელში ავრცელებს და ამბობს, რომ შანაის მკვლელზე შურს პირადად იძიებს და პოლიციის რეაგირებას არ დაელოდება.



„მე მაქვს ერთადერთი მისია ცხოვრებაში – ჯოჯოხეთური სიკვდილი მოვუწყო ადამიანს, რომელმაც შანაის სიცოცხლე წაართვა. საერთოდ არ მაინტერესებს, გაატარებს თუ არა ის დარჩენილ ცხოვრებას გისოსებს მიღმა, ამ ხალხს დავმარხავ ჩემი ხელით. ვერაფერი შემაჩერებს.

ვაპირებდი საქართველოში ჩასვლას დაუყოვნებლივ, თუმცა არ ვარ ვაქცინირებული და ქვეყნის დატოვების უფლება არ მაქვს“, – ამბობს ელ საიდი.

მიმართვაში ლიბანელი დიჯეი შანაისა და მის გეგმებზეც საუბრობს. მისი თქმით, შანაისთან ერთად ცხოვრების გაგრძელებას საქართველოში თავადაც აპირებდა.

უცხოელი პრესა წერს, რომ შანაი ბრუკი ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი მოკლეს.

შანაი ბრუკი მოკლული მთაწმინდაზე იპოვეს. მას წამების კვალი ეტყობოდა, თუმცა შსს-ს ამ დრომდე შანაი ბრუკის მკვლელობასთან დაკავშირებით განმარტება არ გაუკეთებია.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს განცხადება



შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო გაცნობებთ, რომ რუსთავის ცენტრალურ დეპარტამენტში იგეგმება საგამოცდო პრაქტიკული მოედნის განახლება, რის გამოც 7 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით შესაძლებელი იქნება მხოლოდ „B“ კატეგორიის პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება, ხოლო სხვა დანარჩენი კატეგორიის/ქვეკატეგორიის პრაქტიკული გამოცდის მიღება დროებით შეჩერდება.

## ევროკომისიამ შსს-ს საქმიანობა დადებითად შეაფასა

ევროკომისიის ანგარიშის მიხედვით, საქართველო წარმატებით განაგრძობს ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

ევროკომისიამ, სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში, ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც შეფასებულია ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მქონე ქვეყნების მიერ შესაბამისი ვალდებულებების შესრულება.

მეოთხე ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველო წარმატებით განაგრძობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, ისევე, როგორც ევროკომისიის მესამე ანგარიშში არსებული რეკომენდაციების შესრულებას. დადებითად შეფასდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობა, მათ შორის:

საზღვრის მართვის კუთხით არსებული რესურსების გაუმჯობესება;

ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეების არალეგალური მიგრაციის შემცირების მიზნით გადადგმული ნაბიჯები;

წარმატებული თანამშრომლობა რეადმისიის შესახებ შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციისა და ევროკავშირში არალეგალურად მყოფი საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების საკითხებზე;

FRONTEX-თან განახლებული სამუშაო შეთანხმების ხელმოწერა;FRONTEX-თან წარმატებული თანამშრომლობის ფარგლებში, ქართველი ოფიცრების მივლენა ევროკავშირის წევრი ქვეყნების აეროპორტებში, ისევე, როგორცFRONTEX-ის ოფიცრების რაოდენობის ზრდა;

EUROPOL-ის მძიმე ორგანიზებული დანაშაულის ევროპული ცენტრის საქმიანობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მეკავშირე ოფიცრის მონაწილეობა;

სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშეების წარმატებული საქმიანობა.

## სარფში ნარკოტიკული მედიკამენტები აღმოაჩინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტ ,,სარფში“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო შემოტანის მცდელობის ფაქტი აღკვეთეს. ამის შესახებ ინფორმაციას თავად უწყება ავრცელებს.

სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის კონტროლის ზონაში შემოვიდა საქართველოს მოქალაქის გ.ც. -ს მართვის ქვეშ არსებული მიკროავტობუსი, რომელშიც იმყოფებოდა ასევე საქართველოს მოქალაქე კ.ჩ.

აღნიშნული მოქალაქეების ბარგის ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად 112 კაფსულა და 148 აბი, ასევე სპეციალურ შეფუთვებში დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერებები აღმოაჩინეს.

საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ერთეულებს გადაეცათ.

## შსს-ს თანამშრომლების კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესი რეგიონებში აქტიურად მიმდინარეობს



შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლების კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესი, თბილისის პარალელურად, რეგიონებშიც აქტიურად მიმდინარეობს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სასაზღვრო პოლიციის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, დაცვის პოლიციის და ობიექტების დაცვის დეპარტამენტის აჭარის რეგიონის თანამშრომლები ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში აიცრნენ. ვაქცინაციის პროცესი საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს შეუძლიათ, კვირის ნებისმიერ დღეს, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე აიცრან როგორც „სინოვაკისა“ და „სინოფარმის“,ასევე, „ფაიზერის“ ვაქცინით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. ამ ეტაპზე სამინისტროს 19 ათასამდე თანამშრომელი უკვე ვაქცინირებულია.

# ვლადიმერ ზელენსკი: „უკრაინელებმა, რომლებიც თავს რუსებად გრძნობენ, დონბასი უნდა დატოვონ“



უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი აცხადებს, რომ ოკუპირებული დონბასის იმ მცხოვრებლებმა, რომლებიც თავს რუსებად გრძნობენ, უკრაინა უნდა დატოვონ და რუსეთში გადავიდნენ.

— ვფიქრობ, თუ ცხოვრობთ ოკუპირებულ დონბასში და თუ ფიქრობთ, რომ „რუსეთთან უნდა ვიყოთ, ჩვენ ვართ რუსები“, დიდი შეცდომაა დონბასში დარჩენა. ეს არასდროს იქნება რუსეთის ტერიტორია. არასდროს აქვს მნიშვნელობა, რამდენ ხანს იქნება ოკუპირებული. ამიტომ, თუ თავს რუსად თვლი, დროა, შენი შვილებისა და შვილიშვილების გამო წახვიდე და ეძებო ადგილი რუსეთში, — განაცხადა ზელენსკიმ ტელეკომპანია „დომის“ ეთერში.

მისივე თქმით, ისინი, ვინც თავს უკრაინელებად თვლიან და პატივს სცემენ უკრაინის დროშას, დონბასში უნდა დარჩნენ.

— თუკი თავს უკრაინელად თვლი, პატივს სცემ უკრაინის დროშასა და უკრაინულ ენას, დარჩი დონბასში. ამ მიწის დეოკუპაცია აუცილებლად მოხდება, — აღნიშნა ზელენსკიმ.

# ისრაელმა ლიბანს დაარტყა



ისრაელის მოიერიშე თვითმფრინავებმა მეზობელი ლიბანის ტერიტორიაზე ავიაიერიში განახორციელეს.

ისრაელის საჰაერო ძალების ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება ლიბანიდან ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით ზედიზედ ორი დღის განმავლობაში განხორციელებული სარაკეტო თავდასხმის შედეგად მიიღეს.

„მოიერიშე თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს რაკეტების გაშვების ადგილებსა და ინფრასტრუქტურაზე, რომელსაც ტერორისთვის გამოიყენებენ“, — აცხადებენ ისრაელის საჰაერო ძალებში.

ლიბანის პრეზიდენტ მიშელ აუნის განცხადებით, ისრაელის თავდასხმა მისი ქვეყნის მიმართ „აგრესიული განზრახვის“ ესკალაციის მაჩვენებელია.

მისი თქმით, ეს თავდასხმა წარმოადგენს პირდაპირ საფრთხეს სამხრეთ ლიბანის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის და არღვევს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს.

# საფრანგეთი და გერმანია მოქალაქეების დამატებითი დოზით აცრას გეგმავენ



საფრანგეთი და გერმანია მოქალაქეების დამატებითი, „ბუსტერ“ დოზით აცრას გეგმავენ.

საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის განცხადებით, ქვეყანა მუშაობს იმაზე, რომ სექტემბრიდან ხანდაზმულებსა და მოწყვლად მოსახლეობას კოვიდ 19-ის ვაქცინის მესამე დოზა შესთავაზონ.

— მესამე დოზა, ალბათ, აუცილებელი იქნება არა ყველასთვის, არამედ ყველაზე დაუცველი და ყველაზე ხანდაზმული ადამიანებისთვის, — განაცხადა მაკრონმა.

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიისთვის „ბუსტერ დოზის“ შეთავაზებას სექტემბრიდან გერმანიაც გეგმავს. ქვეყნის ჯანდაცვის უწყების ცნობით, პირველ ეტაპზე სუსტი იმუნიტეტის მქონე ადამიანები, ხანდაზმულები და მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარები აიცრებიან.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ქვეყნებს მოუწოდებს, მესამე დოზით მოსახლეობის ვაქცინაციაზე მინიმუმ სექტემბრის ბოლომდე მორატორიუმი გამოცხადდეს.

ორგანიზაციის ხელმძღვანელ ტედროს ადჰანომ გებრეიესუსის განცხადებით, მსოფლიოში ასობით მილიონი ადამიანი ჯერ კიდევ ვაქცინის პირველ დოზას ელოდება, მაშინ როცა მდიდარი ქვეყნები მესამე „ბუსტერ“ დოზით აცრას იწყებენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## საზოგადოება

# ლელა ალიბეგაშვილი თბილისში სერგო ფარაჯანოვის კულტურის ცენტრის გახსნას ითხოვს



რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი ლელა ალიბეგაშვილი თბილისის მერს სთხოვს, დაარსდეს სერგო ფარაჯანოვის სახელობის კულტურის ცენტრი.

მსახიობი შეუერთდა საზოგადოებრივ მოძრაობას — ფარაჯანოვის მუზეუმი თბილისს და ვიდეომიმართვაც გაავრცელა:

— თხოვნით მივმართავ მერიას, დაარსდეს სერგო ფარაჯანოვის სახელობის კულტურის ცენტრი თბილისში. შეიძლება, მერს ძალიან ბევრი საქმე აქვს და ფარაჯანოვი ახლა არ ახსოვს.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი თხოვნა არ დარჩება უყურადღებოდ, რადგან ეს ჩვენს ქალაქს სჭირდება.

ბევრმა ცნობილმა ხელოვანმა იცის, რომ ფარაჯანოვი თბილისში ცხოვრობდა, რომ ჩამოვლენ და მის ბინაში წაყვანას ითხოვენ, რა უნდა ვუთხრათ? მის ბინაში სხვა ცხოვრობსო? კარგი, ბინა არ არის, მაგრამ კულტურის ცენტრი მაინც დაარსდეს.

# თემო გოცაძე საქართველოს ხელისუფლებას ღია წერილით მიმართავს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ლოვნების მუზეუმის რეაბილიტაცია, საზოგადოების მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუზეუმის კოლექციების დროებით და სამომავლო განთავსების საკითხს.

წლების განმავლობაში არაერთხელ იყო წამოჭრილი საკითხი ანჩის ხატის მუზეუმიდან მისივე სახელობის ტაძარში გადატანასთან დაკავშირებით. პატივს ვცემ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ითხოვს ხატის გატანას, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ როგორც საქართველოს მთავრობა, ასევე საზოგადოება დიდი სიფრთხილით მოეკიდება ამ სენსიტიურ თემას და იმოქმედებს ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის სასიკეთოდ.

სამუზეუმო კოლექციების დაშლა დიდ რეპუტაციულ ზიანს მიაყენებს ქვეყნის სამუზეუმო სივრცეს, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს ჯაჭვური რეაქცია და კოლექციების თანდათან გადინება მუზეუმებიდან. ჩვენი და მომავალი თაობები არ გვაპატიებენ დიდი წინაპრების ღვაწლის დაუფასებლობას! საეკლესიო ექსპონატები აუცილებლად უნდა იყოს დაცული სამუზეუმო სივრცეში, სადაც მათთვის შექმნილია დაცვის სპეციალური მექანიზმები.

დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება იმოქმედებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ინტერესებიდან გამომდინარე და არ მიიღებს ნაჩქარევ გადაწყვეტილებას!

# მამარდაშვილი ესპანური მედიის ახალი თემაა



ქართველი მეკარე გიორგი მამარდაშვილი აგრძელებს ესპანური მედიის გაოცებას. ვალენსიის 20 წლის მეკარე ახალი სეზონისთვის მზადების ფარგლებში შესანიშნავად გამოიყურება. ბოლოს ქართველი მილანთან ამხანაგურ მატჩში გამოჩნდა, რომელიც ვალენსიამ პენალტებში 5:3 მოიგო.

ერთ-ერთი საკვანძო მომენტი იყო, როდესაც მამარდაშვილმა შესანიშნავად ითამაშა და ისეთი ბურთი მოიგერია, ტოპ-კლასის მეკარეს შეშურდებოდა. ეს მომენტი მატჩის საუკეთესოდ იქნა აღიარებული.

აი, რას წერს ესპანური მედია:

— ვალენსიის შემადგენლობაში გიორგი მამარდაშვილისა და პაულისტას წყვილი საუკეთესო იყო.

— ვალენსიის სასტარტოში მთავარი სიახლე გიორგი მამარდაშვილი იყო, რომელიც თავისი მატჩის გმირი გახდა. მან დიდებული შეხვედრა ჩაატარა. მე-60 წუთზე მატჩის გამორჩეული მომენტი შეასრულა, როდესაც ბრაჰიმ დიასს აუღო.

— მაშინ, როდესაც ვალენსიის 2 მეკარე ტრავმირებულია, სასტარტოში მამარდაშვილი მოხვდა. მეკარემ, რომელიც ზაფხულში ვალენსიელთა ერთ-ერთი მთავარი სენსაციაა, მე-60 წუთზე გუნდი გოლისგან იხსნა, როცა ბრაჰიმის დარტყმა მოიგერია. ასევე, პირველ ტაიმში ქართველმა მეკარემ ლეაოს კარგად დარტყმული ბურთი აუღო.

ყველაზე ვრცლად კი ქართველ მეკარეზე „ელ მუნდო დეპორტივომ“ დაწერა:

— 7 ივნისს ვალენსიამ გიორგი მამარდაშვილის ტრანსფერი დაადასტურა. მეკარე თბილისის დინამოდან იჯარით ჩამოვიდა. თუმცა, გამოსყიდვის ვარიანტი 1 მილიონი ევროა. მამარდაშვილს გასულ სეზონში ევროპა ლიგაზე აქვს ნათამაშები, მათ შორის, გრანადას წინააღმდეგ.

მამარდაშვილი თავიდან მეორე გუნდისთვის მოიაზრებოდა, მაგრამ ის უკვე იქცა ძირითადი შემადგენლობის წევრობის მოულოდნელ ვარიანტად.

ქართველმა მეკარემ მოსამზადებელ პერიოდში იასპერ სილესენისა და ხაუმე დომენეკის ტრავმებით ისარგებლა და თამაშით დაამტკიცა, რომ ძირითადი შემადგენლობის რეალური კანდიდატია. ლევანტესთან და მილანთან ის ძალიან კარგი იყო და გამოჩნდა, რომ გამოირჩევა რეფლექსებით, არის ყოველთვის ფხიზლად, თავდაჯერებული და მშვიდი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ 20 წლისაა, ფეხითაც კარგად თამაშობს. მან ორივე შეხვედრაში კარი მშრალად შეინახა და იტალიელებთან მხოლოდ პენალტებში გაუშვა გოლები.

ახლა საჭიროა იმის გაგება, როგორ აისახება მისი თამაში ვალენსიის სატრანსფერო გეგმებზე. „ღამურები“, შესაძლოა, მზად იყვნენ სილესენის გასაშვებად, რომელსაც მაღალი ხელფასი აქვს და ტრავმებისკენ მიდრეკილია. ასევე გუნდში არიან კრისტიან რივერო, რომელიც გასულ სეზონში მესამე იყო და ხაუმე დომენეკი, რომლის კონტრაქტი 2023 წელს იწურება. სავარაუდოა, რომ ერთ-ერთი გუნდს ამ ზაფხულს დატოვებს, ან გაყიდიან, ან გაანათხოვრებენ. თუმცა, ის ცხადია, რომ მამარდაშვილი დარჩება, მით უმეტეს — ბოლო მატჩების შემდეგ...

გეტყვით, რომ „ტროფეუ ნარანხასთვის“ მატჩში ძირითადი დრო 0:0 დასრულდა, ქართველ მეკარეს 5 „სეივი“ ჰქონდა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**5 აგვისტო**

**ოლიმპიადა**

**ფეხბურთი**

**ქალები**

**მე-3 ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| ავსტრალია-აშშ | 3:4 |

**კალათბურთი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| აშშ-ავსტრალია | 97:78 |
| საფრანგეთი-სლოვენია | 90:89 |

**4 აგვისტო**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ბენფიკა | 0:2 |
| დინამო (ზ)-ლეგია | 1:1 |
| ფერენცვაროში-სლავია | 2:0 |

# ილია მეორე მთავრობას ანჩის ხატის გადაცემას სთხოვს



ანჩის ხატი — მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი — ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე წერილობით მიმართავს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილსა და კულტურის მინისტრს თეა წულუკიანს, რათა ანჩის ხატი მუზეუმიდან ტაძარში გადაბრძანდეს:

— საქართველოში, ღვთის განგებით, ჩამობრძანდა ქრისტიანული სამყაროს გამორჩეული სიწმინდე, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ანჩის ხატად „პირი ღვთისად“ წოდებული, რომელიც ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

ჩვენ დიდი ხანია, ხელისუფლების წინაშე ვაყენებთ საკითხს ეკლესიისთვის მისი გადმოცემის თაობაზე: მზაობა ყოველთვის იყო, მაგრამ ითხოვდნენ, რომ სიწმინდის დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის სათანადო პირობები შექმნილიყო.

ანჩის ხატის დაბრუნების საინიციატივო ჯგუფმა (ხელმძღვანელი ზაზა ნანობაშვილი) ამ მხრივ დიდი სამუშაოები ჩაატარა, რის შედეგადაც გერმანული კომპანიის მიერ მაღალი ტექნოლოგიებით დამზადდა და ანჩისხატის ტაძარში დამონტაჟდა ხატის ჩასაბრძანებელი კიოტი, ჩატარდა სხვა სამუშაოებიც.

მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ ჩვენი ხალხისთვის ამ უდიდესი სიწმინდის საეკლესიო სივრცეში ყოფნისა და მის წინაშე მუდმივი ლოცვის მნიშვნელობა და გადმოსცეთ იგი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ანჩის ხატის ტაძარში დასაბრძანებლად.

ვიმედოვნებთ, მის დაცვას ერთობლივად უზრუნველვყოფთ, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთთანამშრომლობის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება იქცეს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ წელს აღვნიშნავთ ამ ტაძრის აგებიდან 1500 წლისთავს და თქვენ მიერ გაცემული ნებართვა ხატის ეკლესიაში განთავსებაზე იქნება საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული უდიდესი საჩუქარი, — ნათქვამია საქართველოს პატრიარქის განცხადებაში.

# პოეტი გივი ალხაზიშვილი გარდაიცვალა



პოეტი გივი ალხაზიშვილი 77 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**კატო ჯავახიშვილი, პოეტი:**

— ბევრი რამ მახსოვს, ჩემთვის და ჩემი თაობისთვის გალებული... გულისტკენებიც მახსოვს, ბავშვივით შეკეტვა საკუთარ ნაჭუჭში, ბოლო პრეზენტაციაც, სამი თუ ოთხი კაცი რომ ვესწრებოდით. აცრემლებულიც მახსოვს და საშინლად ჯიუტიც, ხმამაღალიც და ზედმეტად ჩუმიც, შესანიშნავი პოეტი და მასწავლებელიც. ძალიან, ძალიან მწყდება გული.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# გენო პეტრიაშვილი ოლიმპიადის ფინალშია



ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე თავისუფალი სტილით მოჭიდავე გენო პეტრიაშვილი (125 კგ) ფინალში გავიდა. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს დელეგაციას კიდევ ერთი გარანტირებული მედალი აქვს. 6 აგვისტოს, როდესაც ფინალს იჭიდავებს, ხოლო ოლიმპიადაზე მოგებული მედლების რაოდენობით რეკორდული მაჩვენებელი გვექნება – რვა.

პეტრიაშვილი ნახევარფინალში ირანელ ამირ ჰუსეინ ზარეს დაეჭიდა. პირველი პერიოდი ჩვენებურმა 0:3 წააგო, მაგრამ მეორე პერიოდში მეტოქეს ექვსი ქულა აართვა და ფინალში გავიდა.

მანამდე პეტრიაშვილმა პირველ წრეში ეგვიპტელი დიააელდინ აბდელმოტალები 11:0 დაამარცხა, ხოლო მეოთხედფინალში ჩინელი დენ ჟივეი – 5:2.

მეორე ქართველმა ფალავანმა ავთანდილ კენჭაძემ (74 კგ) კი პირველი შეხვედრა წააგო. 25 წლის ქართველი ფალავანი მერვედფინალში იტალიელ ფრანკ ჩამიზოსთან 1:5 დამარცხდა.

თუ ჩამიზო ფინალში გავიდოდა, ჩვენებურს რეპეშაჟში გაიყოლებდა და ბრინჯაოს შანსი ექნებოდა. თუმცა ჩამიზო ნახევარფინალში დამარცხდა და ქართველი მოჭიდავე უმედლოდ დარჩა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ტოკიოში ჯერ 7 მედალი აქვს მოპოვებული – 2 ოქროს, 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოსი.

# ტალახაძისა და ასანიძის მადლობა გულშემატკივრებს

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი მსოფლიოს უძლიერესმა ძალოსანმა ლაშა ტალახაძემ ცალი ხელით მოიგო. ჩვენებურმა იაპონიის დედაქალაქში 3 მსოფლიო და 3 ოლიმპიური რეკორდი დაამყარა.



მეორე ადგილზე გასულ სპორტსმენს – 47 კილოგრამით, ხოლო მესამეადგილოსანს 64 კილოგრამით აჯობა.

ტოკიოში მოპოვებული ოქროს შემდეგ უკვე ორგზის ოლიმპიურმა 27 წლის ჩემპიონმა და ძალოსანთა ნაკრების მწვრთნელმა გიორგი ასანიძემ კომენტარი გააკეთეს.

**ლაშა ტალახაძე:**

– ძალიან დიდი მადლობა კიდევ ერთხელ გულშემატკივრობისა და გვერდში დგომისთვის. რა თქმა უნდა, ძალიან გახარებული ვარ, რომ ოლიმპიური ოქროს მედალი შევინარჩუნე. ამდენი ხანი მოუთმენლად ველოდი ოლიმპიურ თამაშებს და აი, დადგა ეს ნანატრი წუთები. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ქომაგსა და ყველას, ვისაც ჩემს წარმატებაში მცირე წვლილი მაინც მიუძღვის.

**გიორგი ასანიძე:**

– აქ შეფასებები ზედმეტია, რადგან ლაშამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რამდენად კარგი სპორტსმენია თანამედროვე ძალოსნობისთვის. ვულოცავ საქართველოს, ჩვენს ფედერაციასა და პრეზიდენტს, ჩვენი ნაკრების ექიმთა ჯგუფს. იმედია, რომ ეს სიხარული დიდხანს გაგვყვება, რათა ერთობა შევინარჩუნოთ. 3 წელიწადში კიდევ ერთი ოლიმპიური თამაშები გველის. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება და ჩვენი ოცნებები ასრულდება.

# საქართველოს 18 წლამდე საკალათბურთო ნაკრებმა მეორე მატჩიც წააგო



ჩრდილოეთ მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში, სადაც კონტინენტის მოწინავე გუნდების ევროჩელენჯერი მიმდინარეობს, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები პირველ გამარჯვებასთან ახლოს იყო. ტურნირის პირველ ტურში ესპანეთთან წაგების შემდეგ დავით როგავასა და კახა ტომარაძის გაწვრთნილი ჩვენი გუნდი მასპინძელთა ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა და დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა – 66:69.

საქართველოს ნაკრები მატჩის უმეტეს დროს ლიდერობდა. მე-2 პერიოდში ქართველების უპირატესობამ 9 ქულასაც მიაღწია – 46:37. თუმცა, როგორც კი საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ, მასპინძლები წუთშესვენებას იღებდნენ და ეს ამართლებდა.

ორივე გუნდი დიდ აქცენტს აკეთებდა შორ სროლებზე და ამ კომპონენტში ქართველებმა საგრძნობლად, 5 სამქულიანით აჯობეს მეტოქეს, მაგრამ მაკედონიელებს ტანმაღალი მოთამაშეების წყალობით ფარქვეშ უპირატესობა ჰქონდათ და ჩამორჩენასაც უმეტესწილად ამის ხარჯზე აბათილებდნენ.

მატჩის გამარჯვებული მატჩის ბოლო წუთზე გაირკვა. საქართველოს ნაკრები 2 ქულით აგებდა და უტევდა. გადამწყვეტი ტყორცნა პერიმეტრსმიღმიდან ქართველთა ბომბარდირმა გიორგი ოჩხიკიძემ ითავა, რომელსაც, სამწუხაროდ, მიზანმა უმტყუნა და ბურთი მაკედონიელებმა რომ მოხსნეს, შეხვედრის ბედიც გადაწყდა.

საქართველოს ნაკრებში 16 ქულით, 7 მოხსნით, 6 პასითა და 4 ჩაჭრით ოჩხიკიძე გამოირჩა. თუმცა, საერთო შედეგიანობით ოდნავ აჯობა ლუკა ლიკლიკაძემ, რომელმაც 12 ქულა, 7 მოხსნა, 5 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. 14 ქულა და 6 მოხსნა გუგა ნაცვლიშვილმა მოაგროვა, გიორგი მესხმა კი თამაში 10 ქულითა და 9 მოხსნით დაასრულა.

საქართველოს ნაკრები მორიგ შეხვედრას ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერ სერბეთის წინააღმდეგ გამართავს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# გია გრიგალავა: „რუსეთი ევროპაზე შერცხვა, ხვიჩა რუსეთიდან უნდა წავიდეს“

**ახლოვდება სექტემბერში სათამაშო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები და საქართველოს ნაკრების დაცვის ცენტრში პრობლემებია. ლაშა დვალსა და ჯიმი ტაბიძეს ტრავმები აქვთ, სოლომონ კვირკველია და გია გრიგალავა უგუნდოდ არიან. გრიგალავა გუნდის ძიებაშია და ამ თემაზე რუსულ მედიასთან ისაუბრა.**



***– რატომ არ გაგიგრძელეს კონტრაქტი არსენალში?***

– ვერ გეტყვით, ასე რატომ მოხდა. ალბათ, გუნდს არ ვესადაგები. ეს ხელმძღვანელობას ჰკითხეთ. არადა, დარწმუნებული ვიყავი, გუნდში დავრჩებოდი.

***– იყო ამაზე საუბარი?***

– კი იყო საუბრები. ჩემთვის მოულოდნელობა იყო ეს გადაწყვეტილება. შუა სეზონში ველაპარაკე ხელმძღვანელობას, როდესაც მითხრეს, რომ სეზონის ბოლოს კონტრაქტი გამიხანგრძლივდებოდა. დამთავრდა სეზონი, გავედით შვებულებაში და დღემდე არავინ დამკავშირებია.

***– თავად რატომ არ შეეხმიანეთ?***

– ეკითხებოდნენ ადამიანები ჩემი თხოვნით, თუმცა შედეგი ერთია. ფეხბურთში ხდება ისეთი შემთხვევები, რომ გაკვირვებული არ დავრჩენილვარ.

***– იყო საუბარი, რომ ცსკა-სთან თასზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ გადაიფიქრეს ხელშეკრულების გაგრძელება.***

– ასე არ არის. იმ ინციდენტის შემდეგ ჩვეულებრივ ვისაუბრე ხელმძღვანელობასთან და ყველაფერი კარგად იყო. იმ ფაქტს ჩვენს ურთიერთობაზე გავლენა არ მოუხდენია. რაც შეეხება თავად იმ ფაქტს, რომ ძალიან გაბუქებული იყო. მოხდა ერთი ჩვეულებრივი სიტუაცია იყო და ისე თქვეს, თითქოს კაცი მოვკალი. არა, კონტრაქტი ამის გამო არ შეჩერებულა. რა მოხდა, მეც არ ვიცი.

***– და რა მოხდა მაშინ? თქვენი ვერსია გვითხარით... წერდნენ, რომ თქვენ და უმცროსი გურამ აჯოევი „თავების გატეხით“ ემუქრებოდით ცსკა-ს მწვრთნელებს.***

– მატჩი თავიდანვე დაძაბული იყო. ბოლოსკენ დასანანი გოლი გავუშვით და წავაგეთ. მოედნიდან ცუდ ხასიათზე გავდიოდით. გვირაბში გაურკვევლობა იყო, ვასილი ბერეზუცკიმ არსენალი ცუდად მოიხსენია და მეც ჩემი გუნდი დავიცავი. ჩხუბამდე საქმე ნამდვილად არ მისულა.

***– თავად ბერეზუცკიმ თქვა, რომ თავს დაესხით ბოჰინენს.***

– ეს ვინლაა? პირველად მესმის. თუმცა, რაც უნდა, ის ილაპარაკოს. ეს უკვე ჩავლილი ეტაპია.

***– უკან დრო რომ გადაახვიოთ, მოხვდებოდით იმავე სიტუაციაში?***

– არ ვიცი. ახლა კარგია განსჯა, როდესაც იცი, რა სასჯელი მოჰყვა. თუმცა, რადგან იმ მომენტში ისე გავაკეთე, ალბათ, ისე იყო საჭირო.

***– დავუბრუნდეთ კონტრაქტს – ნაწყენი ხართ, რომ არ გაგიგრძელეს?***

– საწყენი რა არის. სიმართლე გითხრათ, ფეხბურთში ვერაფრით გამაკვირვებთ. ძალიან მშვიდად ვარ. დანარჩენი მათ სინდისზე იყოს.

***– ანუ გურამ აჯოევს რომ შეხვდეთ, ხელს ჩამოართმევთ?***

– ძალიან მშვიდად. ის ერთადერთი ადამიანია, რომელმაც რუსეთში ორი წლის უთამაშებელი გუნდში ამიყვანა და მენდო. ჩვენ არანაირი კონფლიქტი არ გვაქვს.

***– ერთ-ერთ ინტერვიუში საკუთარ წონაზე იხუმრეთ. ახლა უგუნდოდ ხართ. ხომ არ „აგიკრეფიათ“?***

– არა, არა... თავს იდეალურად ვგრძნობ. ერთი გრამი ზედმეტი წონა არ მაქვს. ასე, მგონი, სეზონის დროსაც არ ვყოფილვარ.

***– ევროპის ჩემპიონატზე რუსეთმა გაგაკვირვათ?***

– სიმართლე გითხრათ, ძალიან ცუდი შედეგია.

***– ასეთი გამოვარდნა სირცხვილია?***

– მაქვს დანიის ნაკრებთან თამაშის გამოცდილება. პირდაპირ გეტყვით, რომ ორგანიზაციული კუთხით ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. რუსეთს რამდენიც არ უნდა მოენდომებინა, დანიელების კოპენჰაგენში დამარცხება შეუძლებელი მოჩანდა.

***– გასაგებია, რომ საქართველოს ნაკრები რუსეთის დონის არ არის, მაგრამ ბოლო პერიოდში მათთან მიახლოება შეძელით?***

– მე ვერ ვიტყოდი, რომ საქართველოს ნაკრები ამჟამად სუსტი გუნდია. ბოლო წლებში საქართველომ ფეხბურთში ძალიან მოუმატა და არ ჩერდება – აგრძელებს განვითარებას. ეს არ ეხება მარტო ძირითად ნაკრებს...

***– ევროპაში წასვლის თაობაზე ხვიჩა კვარაცხელია თუ გესაუბრათ?***

– მე ვაკლივარ კიდევ ხვიჩას მრჩევლად, ისედაც ბევრი ეყოლება. ჩვენ ერთმანეთში კარგად ვსაუბრობთ, მაგრამ რჩევების დონეზე – არა. თუ მკითხავს – ვეტყვი.

***– აქედან უთხარით.***

– მისთვის უკეთესი იქნება, თუ მალე წავა. რაც ადრე, მით – უკეთესი. ის ევროპაში გასამგზავრებლად მზად არის.

***– ასევე ნათქვამი გაქვთ, რომ მეგობრობთ საბა კვირკველიასთან. არ გიკვირთ, რომ 3 წლის წინ ლესტერი ეპატიჟებოდა და ახლა უგუნდოდ არის?***

– სიმართლე გითხრათ, არ მჯერა, რომ ეს ყველაფერი საბას ირგვლივ ხდება. ვერ წარმომიდგენია, რატომ განვითარდა მისი კარიერა ამ გზით. ყველაფერი ხომ კარგად იყო. თუმცა მჯერა, რომ ის აუცილებლად იპოვის გუნდს... დიახ, აუცილებლად... ასჯერ უარეს სიტუაციაში მოხვედრილი ფეხბურთელები პოულობენ გუნდს. საბაც იპოვის.

***– რუსეთის პრემიერლიგის გუნდები უკვე კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით იცრებიან. თავად?***

– არ ამიცრია. ამ ყველაფერს მშვიდად ვუყურებ. თუმცა ვთვლი, რომ ვაქცინის დაძალება არასწორია. ადამიანს არჩევანის უფლება უნდა ჰქონდეს.

***– თუ ახალ კლუბში აუცილებელი გახდა?***

– მაშინ ავიცრები. ცხადია, ცხოვრება კორონავირუსის გარეშე უკეთესი იყო და ახლა ამას ვერ განვსჯით. ახლა რადგან ასეთი სიტუაციაა, უნდა დავიცვათ ყველა წესი. ვირუსი უკვე მეორე წელია, ჩვენთან ერთად ცხოვრობს, მასთან თანაცხოვრებას უნდა მივეჩვიოთ და პანიკა არ უნდა დავთესოთ.

***– თავად სეზონის დროს გადაიტანეთ ვირუსი?***

– არა, ზამთრის შესვენების დროს.

***– იწერებოდა, რომ არსენალი მალავდა დაინფიცირებულ ფეხბურთელებს.***

– ტყუილია და ეს შეუძლებელიც მგონია.

***– ერთ-ერთმა ჟურნალისტმა დაწერა, რომ ახმატთან მატჩის წინ წერდა, ვინც განაცხადში ვერ მოხვდა, დაინფიცირებული იყოო.***

– მაგ მატჩის დროს ტრავმა მქონდა და ამიტომ არ ვიყავი. კორონავირუსის გამო არც ერთი მატჩი არ გამომიტოვებია.

***– მომავალში სად გიხილავთ?***

– ახლა მოსკოვის ტორპედოსთან ერთად ვემზადები, ფორმას ვინარჩუნებ. ხელმძღვანელობას ვთხოვე და დამთანხმდნენ. თუმცა არანაირი მოლაპარაკებები არ მაქვს. ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავი; 2. იტალიელი კინორეჟისორი; 3. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 5. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 7. ადმინისტრაციული ორგანო საბჭოთა კავშირში; 9. მთელი სხეულის ძლიერი კრუნჩხვა; 13. მდინარე ერევანში; 15. პოპულარული ქართული სიმღერა; 16. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 18. წამლის დამზადების ერთ-ერთი ფორმა.

**თარაზულად:** 4. ქართული ხალხური ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 6. ფრანგი მწერლის ანრი ბეილის ნამდვილი გვარი; 8. ქართველი მოჭადრაკე, მრავალგზის მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 10. მიწის ნაყოფიერების ღვთაება სვანურ მითოლოგიაში; 11. ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური მიმართვა მეორე სახელმწიფოს მთავრობისადმი; 12. ბურგუნდიული ღვინოების წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი საფრანგეთში; 14. უბანი თბილისში; 17. ფლიდი, ფარისეველი ადამიანი; 19. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 20. თანამდებობის პირთა, პოლიტიკოსთა მოსყიდვა; 21. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 22. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 23. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პელოტა; 2. საცივი; 3. მასკი; 5. რუხი; 6. ცერული; 8. სტამპა; 11. შავლაყაძე; 13. ამანათი; 14. ანტრაშა; 15. ბერბიჭა; 19. იოდი.

**თარაზულად:** 1. პალიასტომი; 4. პატრიცი; 7. ლიეტუვა; 9. კანტონი; 10. ფშავი; 12. სემაფორი; 16. კაკაბაძე; 17. ბალანსი; 18. პრევენცია; 20. ძილქუში; 21. ეირე; 22. კასტილია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რუბენსი; 2. ბროსნანი; 3. ალგებრა; 5. საქსონია; 7. ჭიანური; 9. იაკიტორია; 13. პანკისი; 15. იგუასუ; 16. მადონა; 18. უფიცა.

**თარაზულად:** 4. კუროსავა; 6. აბრსკილი; 8. მელიქიშვილი; 10. მანდელა; 11. კარე; 12. ბრუნეი; 14. გინზა; 17. ლონჟა; 19. კუკია; 20. უორდროპი; 21. აული; 22. ხუზისტანი; 23. ფაიფური.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


6 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 3.0927 |
| ევრო | — 3.6624 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 4.3066 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.2282 |

## ამინდის პროგნოზი 6 აგვისტოსათვის




## მიქაელ ბალაკის შვილი ავარიას ემსხვერპლა



მიქაელ ბალაკის ოჯახში ნამდვილი ტრაგედია დატრიალდა. ბალაკის შუათანა, 18 წლის შვილი ემილიო ავარიას ემსხვერპლა, როდესაც ის კვადროციკლით მგზავრობდა. ეს ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურდა, თუმცა ბევრი დეტალი ჯერ ცნობილი არ არის. ბალაკს, ემილიოს გარდა, კიდევ ორი შვილი ჰყავს და ჯერჯერობით მის ოჯახს კომენტარი არ გაუკეთებია.

ემილიოსთან ბალაკს საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა და ისინი ხშირად დებდნენ ერთობლივ სურათებს სოციალურ ქსელში.

## ანსუ ფატიმ ვარჯიში დაიწყო

ბარსელონის ახალგაზრდა ფორვარდმა ანსუ ფატიმ ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

ტრავმის გამო ფატის შარშანდელი სეზონის დიდი ნაწილი გაუცდა და ოპერაციაც დასჭირდა. შესაძლოა, ანსუ ბარსელონის მომავალ შეხვედრაში მოედანზეც ვიხილოთ, თუმცა კუმანს არ სურს, პროცესი დააჩქაროს.

## იუვენტუსი დანილოს გაყიდვას არ აპირებს



იუვენტუსი ბრაზილიელი მცველის დანილოს გაყიდვას არ აპირებს და მასზე ტურინში იმედებს ამყარებენ. ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ დანილოს ყიდვა ბაიერნს სურდა და იუვენტუსი ამ ტრანსფერზე ყაბულს იყო, მაგრამ ეს ინფორმაცია სიმართლე არ აღმოჩნდა. დანილო იუვენტუსში ორი წლის წინ გადავიდა. მანამდე ის წლების განმავლობაში რეალის ღირსებას იცავდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბებიამ სვირინგის გამო შვილიშვილები მემკვიდრეობის გარეშე დატოვა



სოციალური ქსელის მომხმარებელმა გაავრცელა ინფორმაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ბებიამ მისი დები მემკვიდრეობის გარეშე სვირინგის გამო დატოვა, ხოლო თავად მან იცოდა, რა მისი შეხედულების შესახებ, სვირინგის გაკეთებაზე უარი განაცხადა.

ქალმა განმარტა, რომ მისი ბებია ქალებზე სვირინგებს ვერ იტანდა და ამიტომ მისი უფროსი და მემკვიდრეობის გარეშე დატოვა. ეს გადაწყვეტილება არ გავრცელებულა მის ორ ძმაზე, რომელთაც ასევე ჰქონდათ სვირინგები.

მაშინ დანარჩენმა სამმა დამ, მათ შორის ინფორმაციის ავტორმაც, გადაწყვიტა სოლიდარობის ნიშნად თავადაც გაეკეთებინათ სვირინგები. თუმცა ბოლო წამს სოციალური ქსელის მომხმარებელმა სვირინგის გაკეთება გადაიფიქრა. შედეგად კი დებიდან ის ერთადერთი იყო, რომელსაც სვირინგი არ ჰქონდა გაკეთებული.

როდესაც ბებია გარდაიცვალა, მემკვიდრეობა მას და მის ძმებს ერგოთ. ამის გამო დები მასზე გაბრაზებულები არიან და მათთვის მემკვიდრეობის გაყოფას მოითხოვენ. თუმცა ქალი მათთვის მხოლოდ მცირე ნაწილის გაყოფას დათანხმდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 6 აგვისტოსათვის

**ვერძი** — მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით უკმაყოფილოა. **კურო** — გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები, თუმცა სულ მალე მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ. **ტყუპები** — წარმატებული დღეა. თქვენს შესაძლებლობებს სრულყოფილად წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** — ეჭვიანობა უკუაგდეთ და ირწმუნეთ საკუთარი თავის. თამამად გარისკეთ. **ლომი** — დაგროვილი უარყოფითი ემოციებისგან თავისუფლდებით. გელით საინტერესო ცვლილებები. **ქალწული** — მორალურ პრინციპებს არ უღალატოთ. დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შეასრულეთ. **სასწორი** — თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. წარსულში დაშვებული შეცდომები გაითვალისწინეთ. **ღრიანკალი** — პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებებისთვის მოემზადეთ. არასაჭირო კავშირებისაგან თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** — კეთილისმყოფელი დღეა. საქმისადმი ერთგულება და პრინციპულობა დადებით შედეგს გამოიღებს. **თხის რქა** — ძველი მეგობრების მონატრება ძლიერია. ნუ გადადებთ მათთან ვიზიტს. ილუზიებს არ აჰყვეთ. **მერწყული** — პლანეტები გწყალობენ. გარშემომყოფებს გულითადად მოეპყარით და ეცადეთ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ. **თევზები** — საჯარო სამსახურში დასაქმებულთათვის იღბლიანი პერიოდია. პარტნიორული ურთიერთობები ნაყოფიერი იქნება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

წინა დღის ქეიფის შემდეგ დილით გაღვიძებული მამაკაცი საწოლში წამოჯდა, თავზე ხელები შემოიწყო და აბურტყუნდა:

— გუშინ იყო პარასკევი... ხვალ შაბათია... ღმერთო! ნეტავ დღეს რა დღეა?!

●●●

ახალი ამბების გადაცემაში დიქტორი აცხადებს:

— ძვირფასო მაყურებლებო, ჩვენმა მეცნიერებმა ალუბლისა და კანაფის შეჯვარება შეძლეს, ასე რომ, ახლა უკვე შესაძლებელი იქნება გემრიელი და მხიარული მურაბის მომზადება.

●●●

ერთი ქალი მეორეს უყვება:

— გოგო, გუშინ გადავწყვიტე, ხორცის კერძი მომემზადებინა ღვინოში...

— მერე, გამოგივიდა?

— ჯერ ერთი გავსინჯე, მომჟავო იყო, მეორე გავსინჯე, მოტკბო გამოდგა, მესამე კი — მაგარი... მესამის მერე კი აღარ მახსოვდა, რას ვაკეთებდი სამზარეულოში.

●●●

ბავშვი მამას ეკითხება:

— მამიკო, გველი როგორ ლაპარაკობს?

მამამ სავარძელში მოკალათებულ სიდედრს გახედა და ეუბნება:

— რას გაჩუმებულხართ, ვერ ხედავთ, ბავშვს აინტერესებს...

●●●

ცოლი ქმარს ეწუწუნება:

— თავის ტკივილები მაქვს, თბილისში უნდა წავიდე და ექიმს გავესინჯო.

წავიდა თბილისში და ქმარს ურეკავს:

— ექიმმა მითხრა, თავში არაფერი გაქვსო...

— ქალო, მაგას არ გეუბნები მთელი ცხოვრებაა, თავში არაფერი გაქვსო და მაგის გულიზა თბილისში რას წახვედი?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თემო გოცაძე საქართველოს ხელისუფლებას ღია წერილით მიმართავს



მხატვარი თემო გოცაძე საქართველოს ხელისუფლებას ღია წერილით მიმართავს:

— საქართველოს რელიგიური სიწმინდეები, უნიკალური ხატები, სარიტუალო ატრიბუტიკა ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობაა, რომელსაც განსაკუთრებული სიფრთხილით ვიცავთ საქართველოს სამუზეუმო კოლექციებში.

რელიგიური დანიშნულების თითოეული სამუზეუმო ექსპონატი თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის, ასევე უცხოელი ვიზიტორებისთვის. სწორედ მუზეუმიდან იწყება ქვეყნის კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის აღქმა, სწორედ მუზეუმებია ის განძსაცავები, რომლებიც თაობიდან თაობას გადასცემს ჩვენი ქვეყნის იდენტობას, ისტორიას, კულტურას. სწორედ მუზეუმია ის ადგილი, რომლის წიაღშიც იზრდება და ყალიბდება თანამედროვე ქართული სამოქალაქო საზოგადოება.

დღეს, როცა სახელმწიფოს მხრიდან არის მზაობა და ნება იმისა, რომ დაიწყოს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუზეუმის, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხე-


**გაგრძელება მე-8 გვერდზე**


## დემეტრე გამსახურდია თბილისში ჩამოვიდა



ახალგაზრდა კომპოზიტორი დემეტრე გამსახურდია შვეიცარიიდან თბილისში ჩამოვიდა.

ინფორმაცია ცოტნე გამსახურდიას ცოლმა ანა ჯაბაურმა გაავრცელა:

— ხელოვნება არის თავისუფლების სივრცე. სადაც წყდება ხელოვნება, იქ მთავრდება თავისუფლებაც — ამბობს და პანდემიის პირობებში, საკუთარი ხალხის თავისუფლების ხარისხის გაზრდაში საკუთარი წვლილის შესატანად შვეიცარიიდან ჩამოდის კონცერტის ჩასატარებლად.

კონცერტი ძალიან წარმატებულია — კიდევ ერთხელ ატყვევებს დარბაზს საკუთარი კომპოზიციების საოცარი შესრულებით.

თუმცა, ერთი მთავარი მიზეზი კიდევ აქვს მის საქართველოში დაბრუნებას, რომელსაც საჯაროდ არ ახმოვანებს, ასეა — იმის შესახებ მეტად გიჭირს ლაპარაკი, რაც ძალიან გტკივა — მონატრებულ ბიძასთან უნდა ყოფნა.

თბილი, ზრდილი, ღრმა სულიერებისა და შინაგანი კულტურის, უნიჭიერესი, მზრუნველი და ყურადღებიანი — ასეთია ჩვენი დემეტრე გამსახურდია, ევროპელი ქართველი, საუკეთესო გაგებით.

ბრავო, კონსტანტინე გამსახურდია, ასეთი შვილების გაზრდისთვის. ძნელი სათქმელია, რომელი რომელს სჯობს.

## ნანა ნებიერიძე: „მე პოლიტიკაში მივდივარ!“



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილემ, სპორტსმენმა ნანა ნებიერიძემ პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო:

— მე პოლიტიკაში მივდივარ! დიახ, სწორად წაიკითხეთ. არ მოგეჩვენათ. მე პოლიტიკაში მოვდივარ! და რატომ, იცით? ვფიქრობ, დღეს დადგა დრო, როდესაც თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენი სამშობლოს, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების წინაშე. მე მინდა სიახლე, მინდა უკეთესი ქვეყანა და არსად გავიქცევი, არსად არ წავალ. აქ ვიქნები და აქ ვიბრძოლებ იმ ქვეყნისთვის, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, სადაც ჩემი მშობლები, მე, ჩემი შვილი და შვილიშვილი დაიბადნენ.

ამბობენ, პოლიტიკა ბინძური საქმეაო. არა, ბატონებო. პოლიტიკას ადამიანები ქმნიან. ჰოდა, უნდა მოვიხადო ჩემი ვალი, რაც ასე ძალიან მაწუხებს, მე თავად უნდა შევცვალო, ვიბრძოლო. და მოვიგო! დიახ, მოვიგო ჩემი სამშობლოს უკეთესი მომავალი!

ბრძოლას ბავშვობიდან ვარ მიჩვეული, ოღონდ სპორტულ შეჯიბრებებში, სპორტულ დარბაზებში. ახლა კი ვიბრძოლებ ჩემი ქვეყნისთვის გიორგი გახარიას გუნდთან ერთად.

პატივისცემითა და დიდი სიყვარულით თქვენი საქართველოსა და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე წყალში ხტომაში ნანა ნებიერიძე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. იაპონური ავტომობილი; 2. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 3. სასუქად, საწვავად გამოყენებული ჭაობის მცენარეთა ლპობის შედეგად წარმოქმნილი მკვრივი მასა; 5. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 6. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 8. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვან მცენარეთა საერთო სახელწოდება; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 13. რიცხვის მეათასედი ნაწილი; 14. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ცნობილი ბრაზილიელი არქიტექტორი; 19. ისტორიული სახელმწიფო მცირე აზიაში.

**თარაზულად:** 1. ციტრუსთა მყნობისთვის გამოყენებული სამყურა ლიმონი; 4. ქალთა ჯგუფური ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდება; 7. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 9. საკარმიდამო მამული ბრაზილიაში; 10. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად; 12. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 16. პლანეტის თანამგზავრი; 17. ქარბორბალას სახელწოდება აშშ-ში; 18. პროფესიონალი დამსმენის, მსტოვრის, ჯაშუშის სახელწოდება ძველ საბერძნეთში; 20. სამონასტრო კომპლექსი ყვარლის რაიონში; 21. საქონლის სუფთა წონა შეუფუთავად; 22. საწვავის, ბალასტის ავზები სატრანსპორტო გემზე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

